

# დავით აღმაშენებლის

La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
DECEMBRE  
1931—№ 72

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ დ .

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—გზა-ჯვარედინზედ.  
დ. შ.—ერთი პატარა «უკანდახვეა» ქარ. გლ. წინაშე  
მკზავნი—წერილი საქართველოდან.  
საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა.  
სამგლოვიარო კრება ნ. რამიშვილის წლ. აღსანიშნ.

ანტონ ყ.-ნი—ინდოეთი და ინგლისი.  
ბ. გელა-გელაზანია—ქართული სკოლისათვის.  
დეკლარაცია, ქარ. და უკრ. დელ. მოხ. გან. კონგ.  
საქართველოს ამბები.  
მოწოდება ქარ. უმუშევ. დამხმ. კომიტეტისა.

## გ ზ ა - ჯ ვ ა რ ე დ ი ნ ე ჯ ე ლ

ვერობა, მთელი მსოფლიო, სდგას გზა-ჯვარედინზედ და არ იცის რომელი ერთი აირჩიოს. კრიზისი ეკონომიურ-ფინანსური, კრიზისი პოლიტიკური, კრიზისი სოციალური—ყველა ერთმანეთზეა გადახლართული. მიზეზობრივად დაკავშირებული, და ყველგან გამეფებულია პესიმიზმი, თუ გნებავთ, სასოწარკვეთილებაც.

ჩვენ გვიჩნდება ამის თქმა ამა წლის ბოლოს, დიდი ომიდან 13 წლის შემდეგ და, გამოდის, თითქო მთელი ამ ხნის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა ნორმალურ მდგომარეობის აღსადგენათ, ერთა დახლოებისათვის, საყოველთაო მშვიდობიანობისათვის.

უბრალო მაგალითი, ერთა ლიგის საბჭოს თითქმის ერთი თვის ჯაბან-წყვეტა იაპონია-ჩინეთის კონფლიქტის გამო მანჯურიაში, მეტათ მჭერმეტყველია თავის თავათ მსოფლიო უძღურების სამხილებლათ. ბევრნი ერთა ლიგას ამტყუნებენ ამაში, მაგრამ სრულიად უსაფუძვლოთ. ლიგა ხომ მთავრობათა წარმომადგენელთაგან შესდგვა, მაშასადამე, მთავრობანი არიან უძღურნი, პირველ ყოვლისა, და აქედან მათი შეკრებულეც—ლიგა.

მთავრობის ანუ ხელისუფლების უძღურება თვითეულ ქვეყანაში გამოწვეულია მთელი რიგი, ხშირათ, განსაკუთრებული მიზეზებით, მაგრამ არის ერთი რამ საერთო ყველასათვის. ძველი მმართველი წრეები ვერ იჩენენ უნარს სახელმწიფო საქმეების გაძლოლისა, ხოლო ახალი დემოკრატიული წრეები ჯერ არ არიან საკმაოდ ძლიერნი და გამოცდილნი მათი მაგიერობა გასწიონ.

აქედან გაუბედაობა, მერყეობა, დაბნეულობა, რასაც სარგებლობენ უკიდურესნი, მარცხნი—ბოლშევიკები, მარჯვნი—ფაშისტები. ესენი ახალი სოციალ-პოლიტიკურ რეჟიმის პრაქტიკასა და თეორიასაც კი ჰქმნიან. არის მათ შორის მზგავსებაც და

განსხვავებაც. მზგავსება იმაშია, რომ ისინი უარყოფენ ყოველგვარ თავისუფლებას სიტყვის, წერის, კავშირის, ე. ი. დემოკრატიას და დიქტატურას ცხოვრების ღერძად აცხადებენ. განსხვავება იმაშია, რომ ბოლშევიკები სპობენ კერძო საკუთრებას და თავის თავს ერთად ერთ მესაკუთრედ აცხადებენ; ფაშისტები ასე შორს არ მიდიან, ხოლო ანაწილებენ საზოგადოებას ამქრებად და მათი საშუალებით მართავენ ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას.

ორივე რეჟიმი არსებობს წლები, ამაში თითქო მათი გამართლებაცაა. მათ არ აკლიათ ძალა, გამბედაობა, სისასტიკე, დაუნოვებლობა და ამის მიზეზი ისაა, რომ არაფერს აგებენ კიდევ რომ წააგონ ან კი რა გააჩნდათ რომ დაჰკარგონ. მაგრამ მათი ამბიციები ამით არ კლებულობს, მატულობს: ისინი მსოფლიოს დაპყრობას ლამობენ.

და რაც გასაკვირველია—ეს ისა, რომ მათ არ ხვდება სათანადო წინაამდევობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებში, პირიქით! მმართველი წრეები, უილაჯონი, დაფხალნი დემოკრატიის წინაშე, ხშირათ ფაშისტებისგან ელიან ხსნას. ხოლო სოციალისტური წრეები ნათესაობასაც კი ეძებენ ბოლშევიზმთან: მიზანი ერთია, საშუალება სხვადასხვა—ამბობენ ისინი.

ამ რიგათ, საშიშროება საერთაშორისო გართულებათა და საშინაო გადატრიალებათა ყველას თვალწინა სდგას. ფაშისტები სულაც არ მალვენ ეროვნულ კვანძების ომით გადაპყრას, ხოლო ბოლშევიკები—მის სამოქალაქო ომად გარდაქმნას სოციალურ კვანძების გადასაპყრელათ. წავიდა ის დრო, როცა შეიძლებოდა ორივე სახის ომის ლოკალიზაცია, მარცხი ერთ ქვეყანაში საყოველთაო მარცხად იქცევა და კაცობრიობას და მის ცივილიზაციას ნამდვილი გადადგურება მოეღის.

ამ საშიშროებას ყველა ერთნაირათ როდი ეკი-

დებიან. ამერიკა, მაგ., ცდილობს თავის «არ-ჩათრევის» სისტემის შენარჩუნებას; ინგლისი კი სწორეთ იმ დროს, როცა საბაჟო მიჯნების წაშლაა დღის წესრიგში, გადაუფრინავ საბაჟო ზღუდეებს აშენებს იმპერიის გასწვრივ.

მაგრამ ორივეს, ამერიკასაც და ინგლისსაც, თვალეტი უგანიერდებათ შიშით ვაი თუ გერმანია ვაკოტრდაო. მარტო ეს ფაქტი მაჩვენებელია, რამდენათ ძლიერია ფინანსური კავშირი სამივეს შორის და რამდენათ სარგებლობენ ამას საზოგადოთ დიდი ბანკირები. რომ მსოფლიო თავის დირექტივებს დაუმორჩილნ. მათ წინაშე თვით ბლომწვეციები და ფაშისტები უძლური არიან, მაგრამ ძლიერნიც იმავე დროს, რამდენათ ისინი მათ კრედიტებს აძლევენ და მით ხელს უწყობენ ქვეყნიერების არე-დარევას.

ჩვენ ვახსენეთ გერმანია და ამით ისიცა ვსთქვით, რომ იქ წყდება დღეს რეჟიმის ყოფნა-არყოფნის კითხვა, რომელი გაიმარჯვებს: დემოკრატია თუ დიქტატურა, წესიერება თუ სამოქალაქო ომი და ანარქია. ცხადია, ეს უდიდესი უშედეგოთ ვერ დარჩება ევროპისთვის.

როგორია მდგომარეობა ევროპაში? ძლიერ რთული, აწეწილი, თითქმის გამოსუსავალი! ბრიანისა, შტრეზმანის და ოსტენ ჩემბერლენის ლკარანს დიდი პერსპექტივები, ნობელის პრემიით დაჯილდოებული, დავიწყებულია და ესაა უფრო გერმანია-საფრანგეთის დამორბედაე ლაპარაკობენ, ვინემ დაახლოებაზე. საქმე იქამდის მივიდა, რომ საფრანგეთი სწერს საბჭოებთან თავდაუსმელობის ანუ ნეიტრალიტეტის პაქტს და ელის პოლანეთისგან იმავე ნაბიჯს, რომ, ვინცობაა პიტლერმა გაიმარჯვა, ალყა შემოარტყან ორივე მხრით გერმანიას.

ესაა აიღეთ გაუთავებელი კითხვები რეპარაციისა და ვალების. რომლის შესახებ ბჭობენ ბახელში გერმანიის ფინანსურ შესაძლებლობათა შესანჯავლაო. მაგრამ, გარდა ომისგან დატოვებულ ამ ანგარიშებისა, არის მოკლე-ვადიანი ვესხები ავტო 12 მილიარდ ოქროს მარკისა, რომლის გადა თებერვალში დაუდგება გერმანიას და მისი ბედიც გადაწყდება.

მაშასადამე, დრო არ იცდის, ხოლო ხედვენ კი ამას დიდი სახელმწიფოები და მათი მთავრობები? რასაკვირველია, ხედვენ. განა ამით არ იყო გამოწვეული საფრანგეთის პრემიერის პიერ ლავალის მოგზაურობა ლონდონში, ბერლინში, ვაშინგტონში? შედეგი? გერმანია-საფრანგეთის ეკონომიური კომისია, უკვე მივიწყებული. და... პიტლერის დესპანები ლონდონში, რომში, რაო? ხელისუფლებას ვიბარებო!

და ამ დროს ხედი-ხედ ორი ღირსშესანიშნავი გამოსვლა კეთდება, ერთი ბერლინში და მეორე ვაშინგტონში. კანკლერი ბრიუნინგი აქვეყნებს დრაკონისებურ საფინანსო დეკრეტებს და მრისხანეთ დასძენს, ვინც არსებულ ხელისუფლებას შეეცილებდა, სასტიკათ დაისჯებოა. პრეზიდენტი ჰუვერი უცხადებს ამერიკის კონგრესს ახალი კომისია უნდა დაინიშნოს ვალების გადასასინჯავათ. მაშასადამე, ბრიუნინგი მიმართავს უკიდურეს ზომებს გერმანიის სახსნელათ, ხოლო ჰუვერი თითქო გზას უხსნის სა-

ფრანგეთს გერმანიისათვის ხელის გასაწოდებლათ.

ჩვენ არ ვიცით, რა გამოვა აქედან, გვინდაკი რამე გამოვიდეს, თუმცა გვეშინია იმედების ერთხელ კიდევ გაცრუების. დავუბრუნდეთ ისევ გერმანიას. რატომ? იმიტომ რომ არ არის არც ერთი დიდი და დაწინაურებული ქვეყანა, რომელიც ისე სწრაფათ მიექანებოდეს კატასტროფისკენ, და იმავე დროს ისე შეგნებულათ ხედებოდეს მას, როგორც გერმანია. იქ არის დღეს ბრიუნინგის მთავრობა, მთავრობა მას უნალო კლასებისა. მარჯვნიდან და მარცხნიდან მას ენეთქება ორი უკიდურესი ფრთა, მოტრფიალენი შავი ან წითელ დიქტატურისა. რას შვრება ამ დროს სოციალდემოკრატია? ის შეგნებულათ მხარს უქერს კანკლერს, ბუ რეუ ახულ მთავრობას, და ამით იცავს ერის უზუნაესობას, მის კონსტიტუციას, რესპუბლიკას. ნუ დაივიწყებთ, ბრიუნინგის მთავრობა როდია ლმობიერი მუშათა კლასის მიმართ, პირიქით! უკანასკნელი დეკრეტები, პირველ რიგზე, მას სხაგვავს ნივთიერათ.

რაა ეს, თუ არა კლასიკური მაგალითი ერის უპირატესობისა კლასზე, პარტიანზე? გერმანიის სოციალდემოკრატია სწორეთ ასე იქცევა. ის არის სახელმწიფოებრივი პარტია, ესმის პასუხისმგებლობა და მზათაა სასწორზედ დასდოს თავისი პრესტიჟი ქვეყნის სახსნელათ.

ამ რიგათ, მსოფლიოს წინ იშლება უღმობელი ტრადედია და მის სცენად გერმანია ქცეულა. რას აპირებენ ევროპა-ამერიკის სხვა დიდი სახელმწიფოები? ფიქრობენ ისინი ხელის დაბანგვას თუ შველას? დიდია როლი საერთაშორისო ფინანსიურ წრეებისა, რადგან გერმანიას არ ძალუქს გადაიხადოს არც ვალეები, არც რეპარაცია. მოისურვებენ მევალენი მის წახრობას?

გერმანიაში ფინანსური წრეები მთლათ გადაუდგენ არსებულ კონსტიტუციას და აშკარათ მფარველობენ პიტლერს. რას შვრება მძიმე მრწველობა და მისი გამომხატველი, ოდესმე შტრეზმანის პარტია-პოპულისტები? ბლოკში შედიან იმავე პიტლერთან!

გერმანია ეწინააღმდეგება მათ თავგასულობას: აწესებს სასტიკ კონტროლს ბანკებისა, ებრძვის კაპიტალის ლტოლვას უცხოეთისაკენ, იღებს ზომებს მათი მადის შესაკვეცათ... ერთი სიტყვით, იღებს სახელმწიფო კაპიტალიზმის გეზს, რის გამოცდილება გერმანიას კიდევ დიდი ომიდან გამოყვა.

ამავე გზას უნდა გაყვეს სხვა სახელმწიფოებიც. არის ამის იმედი? ცოტა, ცოტა, თუმცა მდგომარეობა სხვა გამოსავალს არ უტოვებს მათ.

მმართველ წრეებს ეძლევათ, შეიძლება, უკანასკნელი შემთხვევა, მოწოლილ ეკონომიურ-ფინანსურ და სხვა სიძნელეთა გადასალახავათ. არა მარტო ბახელში, არამედ ყენევაშიც. სადაც ერთ თვეში უნდა გაიხსნას განიარაღების კონფერენცია, სადაც ღიათაა დარჩენილი ევროპის ფედერაციის კითხვა და სხ.

საჭიროა არა ლამაზი სიტყვები, არამედ საქმეები, გმირული საქმეები. ორში ერთი: ან საერთო ძალით თავის შველა, ან კერძო ეგოისტური ინტერესების გამარჯვება და საერთო დამხობა.



მათი პატარა „შპანდანივთა“ ქართული გლეხის წინაშე

გაზაფხულიდან მოკიდებული შემოდგომის მიწურულამდე ტფილისის ბოლშევიკური პრესა, სხვა და სხვა მოხსენებების ანგარიშები, ორგანიზაციების რეზოლიუციები ერთხმად დასაბუთებენ სასოფლო მეურნეობის «სოციალისტური რეკონსტრუქციის» შეუჩერებელ წინსვლას: საკომუნურნო ცენტრი იძლეოდა მრავალ ცხრილს იმის საილიუსტრაციოთ, რომ ქართველი გლეხობა აღფრთოვანებით ეშურებოდა კომუნურნობაში, ამათი რიცხვი კვირიდან-კვირამდე მატულობდა, ზოგან მთელ გლეხობას მოესურვებოდა კოლექტივებში თავისი ავლადიდების შეტანა, ზოგან კიდევ კოლექტივიზაცია ქმნილ მეურნეობათა რიცხვი 90 პროცენტს აღწევდა; კოლექტივურ მეურნეობათა წარმოება, ოფიციალური სტატისტიკის და ცნობების მიხედვით, ხომ დიდათ უსწრებდა წინ ინდივიდუალურ მეურნეობას და სავსებით აბარებდა სახელმწიფოს ხვედრ ნაწარმოებს.

ერთის სიტყვით, საბჭოთა ხელისუფლებაც კმაყოფილი იყო და ქართველი გლეხიც ბედნიერი.

ასე იდილიურათ ისახებოდა გასულ წლებმამდე საბჭოთა პრესის ფურცლებზე ქართველი გლეხის მეურნეობის «სოციალისტური რეკონსტრუქცია». მაგრამ წლებების ერთ მრისხანე დღეს უეცრივ გავარდა მენი და ეს იდილიური მდგომარეობაც ერთის დაკვრით ძირ-ბუდინათ გადატრიალდა. მენი და ჭეჭა-ჭხელი საქართველოს, რა თქმა უნდა, მოსკოვით მოვლინა. საკავშირო კომპარტიის ცეკის პლენუმმა აღმოაჩინა, «რომ ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის და ნაცკომპარტიების ცენტრალური კომიტეტების მუშაობაში დაშვებულ იქნა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომელთაგან ძირითადია შეცდომა გლეხობის საკითხში» (იხ. «კომ.» № 255). ამ შეცდომებს, საკავშირო ცეკის მოწმობით, ადგილი ჰქონია «განსაკუთრებით საქართველოში».

მოსკოვის მრისხანე შემოძახილს წამსვე გამოეხმაურა ტფილისის რუსული «ზარია ვოსტოკა», რომელმაც გახსნა ცხარე კამპანია საქართველოს ცეკას, მიწათკომის, სახპლანის, კომუნურნეობის ცენტრის და სხვ. წინააღმდეგ. ამას, რა თქმა უნდა, მოჰყვა სხვადასხვა საბჭოთა და პარტიულ ორგანიზაციათა გამოსვლები, კრებები, რეზოლიუციები, დადგა სიტყვის კორიანტელი, რომელსაც ჩვეულებრივი მომკვდავი, ბოლშევიკურ ბარბაროსულ ტერმინოლოგიაში ნაკლებათ გაწაფული, დიდის ვაივაგლახით თუ გართმევს თავს. აღმოჩნდა რომ ჩადენილი ყოფილა აუარებელი შეცდომა, «გადახრა», «გადაღუნვა», «მემარჯვენე», «მემარცხენე», «მომემარჯვენე», «მემარჯვენე-მომემარცხენე» («პრაფო-ლევაკი») და სხვადასხვა. შეიქნა ყველა ამ დანაშაულთა ჩამდენის ძიება «ზაკრაიკომში», «ცეკაში», «გოსპლანში», «ნარკომზემში», «კოლხონცენტრში» და ვინ იცის კიდევ სად. დამნაშავენიც, რა თქმა უნდა, ადვილათ მოძებნეს და შუა წყობებისთვის ყველა ეს ორგანო-

ბი ერთის დაკვრით—ბოლშევიკურათ—«დაფერთხეს». «ზაკრაიკომიდან» გააძევეს პირველი მდივანი ქართველიშვილი, და მისი პოსტი მ. ორანელაშვილს ჩააბარეს, საქართველოს ცეკის მდივანობიდან მოხსნეს იგივე ქართველიშვილი და მის ადგილზე წამოაკუპეს პირველ ხარისხოვანი ჩეკისტი, ლ. ბერია, გამოსცვალეს ცეკას ბიურო, განაახლეს «გოსპლანი», «ნარკომზონი» და სხვა და დააფიცეს ყველა ეს ახლადანიშნულები, რომ ისინი «ბოლშევიკურათ აღმოფხვრიან» შეცდომებს, «უკლონებს» და «პერვერტებს». დამნაშაიანებელია, რომ მთელ ამ მოსკოვის ბრძანებით მოხდენილ ალიაქოთში არ ისმის ერთი დაწესებულების ხმა, რომელსაც თითქოს ჩვენი ქვეყნის ავკარგი სხვაზე ადრე უნდა ეკითხებოდეს: ეს არის საქართველოს საბჭოთა მთავრობა, რომელიც ყველა ამ ამბებში ბაიყუშივით ვაზზე გამდგარა, არც ვინმე რამეს ეკითხება და თვითონაც ვერ ბედავს კრინტის დაძვრას. «დამნაშავეებსაც» ხომ გადაყენება არ აკმარეს, ყოველდღე მრისხანეთ მოუწოდებენ—გამოდით და ალიარეთ თქვენი შეცდომები, დაიფიცეთ, რომ გამოსწორდებითო. და ისინიც გამოდიან და მოსკოვის სასახლოთ თავს იბახებენ, ცოდვებს ინანიებენ, შენდობას ითხოვენ და მომავალში გამოსწორებას იფიცებინან.

ესლა ერთი ვანახოთ, რა დანაშაუა ამ ხალხმა—ქართველიშვილებმა, სუხიშვილებმა, დევიდარიანებმა, ტორიშვილებმა, რუხაძეებმა, რომლებიც მხოლოდ გვარებით განირჩევიან სტალინის სხვა მათებრ ყურმოჭრილ მონებისაგან?

როგორც ხევით მოვიყვანეთ, საკავშირო ცეკამ მთავარი შეცდომა საგლეხო პოლიტიკის გატარებაში აღმოაჩინა. ამიერ-კავკასიის და საქართველოს ორგანოებმა, განაგრძობს მოსკოვის რეზოლიუცია, «უმთავრესად ყურადღება მიექცის მუშაობის ტექნიკურ მხარეს და ვერ უზრუნველყოფს გლეხობის (ლარიბ-საშუალო მასები) სწორი პოლიტიკური ხელმძღვანელობა. ამან ყველაზე მკაფიო გამოხატულება ჰპოვა პურის დამზადებაში, სადაც დაშვებულ იქნა მთელი რიგი უადრესად უხეში გადახვევები—განსაკუთრებით საქართველოში, კოლექტივიზაციის გატარებაში... მთელ რიგ რაიონებში...» («კომუნისტი» № 255).

მეორე დიდი შეცდომა, იმავე საკავშ. ცეკას მხილებით, მდგომარეობს იმაში, რომ ვერ უზრუნველყოფს «ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი ნაციონალური რესპუბლიკების ფართო დამოუკიდებლობისა და სამეურნეო ინიციატივის გაშლა. ა.კავ. სამხარეო კომიტეტმა დაუშვა მეტის მეტი ცენტრალიზაცია ამ-კავ. ფედერაციის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში» (იქვე). ხოლო «ზარ. ვას.»ს გადმოცემით საკავშირო ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ამ-კავკასიის ადგილობრივ ხელმძღვანელობას, «ფართოთ გაშალოს ერთგულ რესპუბლიკათა სამეურნეო ინიციატივა



და თვითმკმედება, შეუბრალებლათ ებრძოლნ მთარულ გადახრებს—«ველიკოდერჟავულ» რუსულ შოვინიზმს, რომელიც წარმოადგენს პარტიის უმთავრეს საშიშროებას ეროვნულ საკითხის სფეროში... და სხვ.

«შეცდომები», როგორც ხედვათ, პირველ ხარისხიანი მნიშვნელობისაა ამიერ-კავკ. ხალხებსა და კერძოთ ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისათვის. საინტერესო ისაა, რომ ქართველ ხალხზე თავს დატყევილი ამდენი უბედურება — გლეხობის მეურნეობის დაქცევა და მთელი ქართველი ერის «ველიკოდერჟავულ» პოლიტიკის საგნათ გახდომა ქართველ კომუნისტებს ვერ დაუნიხავთ, ხოლო მოსკოვმა 4 ათასი კილომეტრის მანძილზე გასჭვრიტა. მაგრამ რახან მოსკოვმა იარას თითი დაადგა, მის ადგილობრივ შინაყმებსაც ერთბაშათ თვალი აეხილათ და ენა აეხსნათ და მბრძანებლის მიერ ნაჩვენებ ხაზით ათასი აქამდე დაფარული ამბავი დაინახეს, საშკარაოზე გამოიტანეს და «აღმამფთობულ ფაქტებათაც» კი ნათლავენ. დაინახეს, მაგ., რომ «ცალკე რაიონებში ადგილი აქვს ადმინისტრაციულობას საკომუნურული მმენებლობაში», «კომუნურეთა და ღარბ, საშუალო გლეხთა მიმართ უხეში ადმინისტრაციული ძალადობის და თვითკრიტიკის ჩახჩობის ფაქტებს ადგილი აქვს აგრეთვე (გარდა თელავისა) სიღნაღის, მარტვილის, გარეთ-კახეთის და მთელ რიგ სხვა რაიონებში», «ღარიბი და საშუალო გლეხების მიმართ მბრძანებლობის და მუქარის» ხმარება ხშირი ყოფილა და სხვ. და სხვ. არა ნაკლებ აღმამფთობელი ყოფილა ის პრაქტიკა, რომელსაც ხმარობენ პურისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების აკრეფაში. «კომუნისტის» იმავე 262 №-ში, რომლიდანაც მოყვანილია წინა ამონაწერი, ვკითხულობთ: «თელავის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოების განკარგულებით ს. გულგულის კომმუნურნეობა აიძულეს ჩაებარებია 800 ფუთი პური მაშინ, როდესაც თვით ამ კომმუნურნეობას თავის წევრთა სასურსათო მოთხოვნის და სათესლე საჭიროების დასაკმაყოფილებლათ აკლდა 3000 ფუთი პურეული. პურის დამზადების საკანტროლო დავალება მიეცათ აგრეთვე სოფ. ახმეტის, ოყიოს, ყარაჯულას, ლაფანყურის, ქისტაურის და სხვა კომმუნურნეობებს, რომელთაც საცხებით არ გააჩნდათ სასაქონლო ხორბლეული». აღმოჩნდა, რომ ე. წ. «განკულაკება» ტარდება საშუალო გლეხთა მიმართ და რომ საერთოთ—ვიციწყებო, «რომ საკომმუნურნეო მმენებლობას ვაწარმოებთ ჩვენ არა უკრაინის, ვოლგის მხარის და ჩრდილოეთ-კავკასიის ამოწინავე საწარმოვო ხორბლეულ რაიონებში, არამედ ახერბეიჯანში, საქართველოსა და სომხეთში...» («კომ.» № 263).

ჩვენ მოვიყვანეთ მხოლოდ რამდენიმე ადგილები ოფიციალურ რეზოლიუციებიდან და ორიოდ ფაქტი გაზეთებიდან. სრული მასალა კი, განსაკუთრებით ფაქტიური ხასიათის, იძლევა გაცილებით უფრო ძლიერსა და უხუცეშო სურათს. ოფიციალური ენით, თავისებურ ქარგონით ბოლშევიკები დღეს ისევ აფასებენ ჩვენში მათ მიერ წარმოებულ საგლეხო პოლიტიკას, როგორც ის დაფასებულია ჩვენს

პრესაში, განსაკუთრებით საქართველოდან მოწერილ კორესპოდენტებში, იგივე ძალმომრეობით «კოლხონებში» გლეხების შესევა, სას. მეურნეობის ნაწარმოების ძარცვა, «განკულაკების» სახით მშრომელი გლეხის დარბევა და დაქცევა და სხ.

რად დასჭირდა მოსკოვს დღეს ასეთი მოულოდნელი გულახდილობა? ვანა მართლაც იმისთვის, რომ ქართველიშვილის მიერ ცუდათ გაგებულ დირექტივები ბერიამ უკეთ გაიგოს და «სწორედ» გაატაროს? როგორც ზევით ვსთქვით, გადაყენებულები და ახლად დაყენებულნი ერთის სისხლისა და ხორცის ხალხია, ერთ სკოლაში გაზრდილნი, ერთი ბატონის მოსამსახურენი, ერთი ნების ერთი და იგივე მეთოდებით აღმასრულებელნი. პოლიტიკის ვერც ბერია და ვერც ორახელაშვილი ვერ შესცვლის. ბოლშევიკურ კოლექტივიზაციის გატარებას ძალადობის, «ადმინისტრაციულობის» და ძარცვის ელემენტს ვერავინ ჩამოაცილს.

ესეც რომ არ იყოს, კოლექტივიზაცია ხომ საქართველოში ნაკლებს «თავებრუნდახვევით» ტარდება, ვინემ საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში. სტალინის სასოფლო (სოციალიზმის) გატარებაში მისი ქართველი შინაყმები ნაკლებ გულმოდგინეობს და მეტ ზომიერებას იჩენენ, ვინემ მათი რუსი ამხანაგები საბჭ. რუსეთის სხვა მხარეებში. 7 ნოემბრის «კომუნისტში» მოთავსებული ცნობებით, «ამ ქამათ პროლეტარულ რევოლიუციის მე-14-ე წლისთავზე (საქართველოში) სოფლის მოსახლეობის 37,2 პრ. უკვე ჩამბულია კომმუნურნეობაში» (ის გადაჭარბებული ციფრები—100, 90 პროც. რომელსაც ქართველი ბოლშევიკები ამ რიმდენიმე თვის წინ იძლეოდენ. მხოლოდ რამდენიმე რაიონს ეხება), მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირის კომმუნურნეობები აერთიანებენ სოფლის მოსახლეობის 60 პრ. (იქვე). ეყვი არაა, შიდა რუსეთში არა ნაკლები ადგილი აქვს «ადმინისტრაციულობას», საშუალო გლეხის «განკულაკებას» და სხვ. და სხ.

მაშ რატომ სწორეთ საქართველოს და ახერბეიჯანს მიაპყრა თავისი მოწყალო თვალი სტალინმა? ნუთუ მას ქართველ გლეხზე განსაკუთრებით შესტკივა გული, ან და საქართველოს «ველიკოდერჟავული» პოლიტიკის მსხვერპლთა გახდომა აღმოფთებს მის «ქართულ» გულს?! ამას ვერავინ დასწამებს ჯულაშვილს, იმ ჯულაშვილს, რომელსაც სწორედ ქართულ საკითხის გამო ლენინმა «ველიკოდერჟავნი დერჟიმორდას» დალი დააკრა.

ჩვენ კითხვავ უპასუხი უნდა ვეძებოთ ისევ სტალინის პოლიტიკაში, ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ტაქტიკურ მოსაზრებაში. ამ მოსაზრებას ფარდას ხდის, ჩვენის აზრით, საკავშირო ეკვას რეზოლიუციის ერთი ადგილი; იქ, სხვადა სხვარის, ნათქვამია: «კულაკებს და ანტიბოლშევიკურ ელემენტებს საშვალდება მიეცათ დაშვებული შეცდომები და გადახვევები გამოეყენებიათ სოფლად თავიანთი კონტრრევოლუციონურის გავლენის გასაცხოველებლათ» («კომ.» № 262). ამ ყრუ მხილების ბოლშევიკური ქარგონი რომ გავხსნათ, მივიღებთ შემდეგს: კოლექტივიზაციის პოლიტიკას საქართველოში წე-



ლსაც გამოუწვევია მძლავრი გლეხური მოძრაობა. ქართველი გლეხი არ ურიგდება მისი ნაოფლარის სახელმწიფოს მიერ გატაცებას და განიყვებას, მის საბჭოების ყმად გადაქცევას. საკავშირო ცეკას მხილება სავსებით ეგუება იმ ცნობებს, რომელიც ჩვენმა კორესპოდენტებმა მოგვარწოდეს საქართველოდან (იხ. «დამ. საქ.» გასული ნომბრის ნომერი) გლეხების გამოსვლებზე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, იქ გაჩაღებულ პარტიზანულ ბრძოლაზე, გლეხების ათასობით დატუსაღებაზე სხვადასხვა კუთხეებში. ამ მოძრაობამ საკმარისად ფართო და სისტემატური ხასიათი მიიღო, რომ მოსკოვის ის უყურადღებოთ არ დაეტყველებინა. და ამ სტალინიმა კვლავ სცადა, საქართველოს მიმართ, ის ოინი, რომელსაც გასულ წელს მთელი საბჭოთა კავშირის მასტაბით მიმართა თავისი ცნობილი «უკანდახვეის» სახით. მართალია, კოლექტივიზაციის გატარება არ წყდება, მაგრამ ის, როგორც გასულ წელს, აბობოქრებულ ქართველ (და რამდენადმე აზერბეიჯანელ) გლეხობის წინაშე, სტალინი კიდევ ერთხელ დივერსიას ახდენს: სასოფლო მეურნეობის თავზე დატენილ ყველა უბედურების მიზეზათ ბოლშევიკები «მეისრეს» სახავენ, სტუქსავენ მას კიდევ, რათა გლეხს შეუქმნან შთაბე-

ჭდილება, რომ მთელი მისი უბედურებანი წარმოსდინდება მეისრის მარცხისაგან, ადგილობრივ ორგანოების მიერ «დირექტივების» ყალბათ გაგების და გატარებისგან.

ოინი, რა თქმა უნდა, მიზანს ვერ მიაღწევს. ცნობილია, რომ შეუძლებელია მთელი საზოგადოებრივი კლასის მოტყუება, რომლის სასიცოცხლო ინტერესებს ახშობს სტალინის «სოციალისტური რეკონსტრუქცია». ქართველმა გლეხმა კარგათ იცის, ბოროტება თვით პოლიტიკაშია და არა მის ასე თუ ის გატარებაში და რომ ის ამ პოლიტიკას ვერ ასცილდება, სანამ თავიდან არ მოიშორებს მის ავტორს, უცხო ხელისუფლებას, «ველიკოდერჟავულ» ბატონს. მოსკოვის ანალი თვალთმაქცობა მას ბრძოლაზე ხელს ვერ ააღებებს, რადგან მას არ შეუძლია ხელი აიღოს თავის სასიცოცხლო, საარსებო ინტერესებზე. პირიქით მთელი ეს ჩვენ მიერ აწერილი ამბავი მოწმობს, რამდენად დიდია ქართველი გლეხის მხნეობა მტრის წინაშე, რამდენად გაუტყუებელია ის თავდაცვაში, რამდენად გამოირჩევა თავის შეუთრეგებლობით საბჭოთა კავშირის ათეულ მილიონ გლეხობისაგან.

დ. შ.

### წ ი რ ი ლ ი ს ა მ ა რ თ ვ ე ლ ო ღ ა ნ

#### 2. მდგომარეობა კოლექტივიზებში.

კოლექტივიზებში თავმჯდომარეებათ ინიშნებიან კომუნისტები, ისიც სპირ შემთხვევაში მოყავთ უცხო ხალხი, რადგან ადგილობრივმა შეიძლება გრძობებით მორეულმა—ვერ მოახერხოს ისე მოხდენილათ ხალხის ძარცვა, როგორც ეს არის ზევიდან ნაკარნახევი. მაგ. სოფ. ბახვის (გურია) კოლექტივში მოყვანილია თავმჯდომარეთ შალვა გოგიბერიძე ხიდისთავიდან, ამავე სოფელში კი თემის აღმასკომის თავმჯდომარე სამეგრელოდან ვინმე მიქიაი. კოლექტივიზების წევრების ბედ-იღბალი დამოკიდებულია არა კოლექტივზე, არამედ ზემოთ აღნიშნულ დიქტატორზე—«პატარა კაცუნებზე». ჯერ-ჯერობით გლეხებს აქვთ საცხოვრებელი ვითომ საკუთრად სახლი, ერთი ძროხა, ქათამი, ღორი, მაგრამ ძროხა, ღორი, ქათამიც შედის სახელმწიფო დამზადებაში.

ეს ხდება შემდეგ ნაირად: კერძო ბაზარზე არაფერი მოიპოვება და გლეხმა უნდა იყიდოს, თუ რაიმე არის. კოლპერატივიდან ნატურის მიტანით: მაგ. წულა ღირს 20 მანეთი (ფულზე არ იძლევიან), გლეხმა უნდა მიიტანოს ქათამი—ქათამი ღირს მათი ფასით კი კილ. 1—10კ., ძროხის ხორცი კი ფუთი 4 მ. (კერძო დაკვლას და გასაღებას ვინ გაბედავს), მაშასადამე გლეხმა უნდა მიიტანოს კოლპერატივში ერთი წულის შესაძენათ დაახლოვებით ჩვიდმეტ ნანევარი კილ. ქათამი. ჩვენებური ქათამი, თუ არ ვცდები, გამოდის 2 ნახ. ან 3 კილ. მაშასადამე ერთი წულა ღირს 6 ქათამი ან ფუთი ხორცი. თუ გლეხმა იარა ფეხშიშველი, ანდა, როგორმე აუარა გვერდი კოლპერატივის, მაშინ სახლში მიაკითხავს «მისოტორების» აგენტი თანხლებით ადგილობრივი კომუნის-

ტებისა და მოსთხოვს სახელმწიფო დამზადებისათვის ძროხას, რაც უთუოდ უნდა მისცეს და მიიღებს 50-60 მან. ერთი ძროხაში. ძროხის ტყავი ღირს 8 მან., ერთ ტყავში კი გამოდის 30 წულა.

კოლექტივის წევრები მუშაობენ 12-16 საათს. დარიგებული აქვთ საანგარიშო წიგნაკები, რომელშიდაც ეწერებათ, ნამუშევარი დღეები; შრომა დაყოფილია კატეგორიებათ: ა) მსუბუქი შრომა, ბ) საშუალო და ვ) მძიმე—«17» დღე «15» დღეთ. საშუალოს დღეები ეწერება სრულიად და მძიმეს კი 15 დღე 17 დღეთ. თუ კოლექტივის წევრი გაგზავნეს სადმე ხარ ურმით, დღე ეწერება სრულიად და თუ მარტო წავიდა, 24 საათიც რომ იყოს გზაში, ეწერება მსუბუქ შრომით. კოლექტივის შემოსავალი ნაწილდება ნამუშევართ დღეების მიხედვით, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენი ყავს სარჩენი. მოსავალი საკმარისია თუ არა თვით კოლექტივისათვის, ამის გაუგაუთვალისწინებლათ, მთელი მოსავლის 30 პროც. მიაქვს წითელ საკუქნაოს და თუ რაიმე ვალი აქვს კოლექტივის წევრს, ეს ხომ იქვე გადახდება. ვალი კი უამრავია: წინასწარ კრებებზე დადგენილებით—შეწირულებები, როგორც ზემოთ აღვნიშნე. კოლექტივის წევრებს აგზავნიან ხშირად სხვა კოლექტივებში და სახ. მამულოებში სამუშაოთ და ამას უწოდებენ ბოლშევიკები «ბუქსირზე» აყვანას. ასეთი მუშაობისათვის გლეხს სასყიდელი არ ეძლევა და არც ნამუშევარი დღეები ეწერება. ამას უძახიან ბეგარის დღეს—«დამკერელობას». მაგ. ჩხოროწყუს (სამეგრელო) პლანტაციებზე მიყავთ ხალხი სამუშაოთ ნოქალაქევიდან და ონტოფოდან. გლეხები იქით-აქეთ გზას უნდებიან 3 დღე, იქ მუშაობენ წკნელზე დაგებულ თოხით 1 დღეს. ამ რიგათ «მობუქსირე» ხალ-

ხი ცდება 4-5 დღე და ბოლოს იქმნება ისეთი პირობები, რომ თვით «ბუქსირზე» ამყვანი გლეხების «მობუქსირეთ» არავინ რჩება. ესევე მდგომარეობაა გურიაში და სხვაგან. ასეთი სისტემით ნაყოფიერება სრულებით მოიხსპო და მეურნეობა ერთიანად გაინაკლდა.

კოლექტივის წევრი მუშაობს და არც კი იცის, თუ რამდენი უნდა დაიმუშაოს და დამუშავებულში რამდენი დარჩება მას. იყო შემთხვევა სოფ. აბაშაში, ვინმე თოფურისას დაუტოვეს ათი ფუთი სიმინდი და დანარჩენი წაიღეს. როდესაც გლეხმა გამოკითხვა უკმაყოფილება—უპასუხეს: გაგითავდება, ჩვენ მოგცემთო ანდა გაგიცვლით საქანელშიო, თქვენ ჩვენზე უნდა იყოთ დამოკიდებული და არა ჩვენ თქვენზეო. ამ რიგათ ხდება სოფლად გლეხების სრული გალატაკება, ამაზე გლეხობაში ლექსიც კი არის გამოთქმული:

იმუშავეთ, ვირებო, ჭამთ, შეგნებულეობ,  
იმუშავეთ, ვირებო, ჭამეთ, ბრიგადირებო.

და სხვა.  
კოლექტივების გარეთ დარჩენილი გლეხები ითვლებიან «კულაკებათ» და გამოცხადებულნი არიან თითქმის კანონს გარეშე. არ აქვთ საშვალეობა, სხვას რომ თავი დავანებოთ, ნავთი და მარილი შეიძინონ. ამევე დროს ჩამოართვეს ყველაფერი, რაც ქონდათ ჯიბეში ან ცოლის თუ ქონდა შემონახული შავი დღისათვის ერთი ორი კაპიკი—ისიც მოატანის გადასახადის სახით—რაოდა და 1926-27 წ. წ. შენზე ცოტა გადასახადი იყო შეცდომით შეწერილი და იმის შესავსებლათ უნდა შემოიტანოვო. გარდა ამისა უნდა შეასრულონ უნაკლოთ სოც. დავალება (დავალი კი არის აუტენელი): მან კულაკმა უნდა დაიმუშაოს გეგმით—კულტ-მარცვალი—ერთი დესიატინა—ჩაი, ნახევარი თუთუნი. ერთი სოია. შემდეგ თუ რომელიმე გლეხმა ან კუთხემ დათესა ხორბალი ნაცვლად ბამბისა, ან სიმინდი ნაცვლად თუთუნისა, გაგზავნიან «კულაკებსა» და ამოსულიც რომ იყოს, თუ ის არ არის გეგმით, დაათრევიან და ხელმეორეთ ათესვიანებენ გათვალისწინებულ მარცვალს. მაგ. ყარაიანში, რამდენიმე დესიატინა მიწა დაათრევიან და დაათესვიან ბამბა, სუხუმში კი თუთუნი.

3. საექიმოდ დასმარება სოფლად.

მედიცინაზე ოცნებაც არ შეიძლება. არ არის წამლები და მედიკამენტები. ექიმი გასინჯავს ავადმყოფს და ეტყვის: «თუ ღვთის მადლით მორჩები, თორემ წამალს ვერ გამოგიწერ, ვინაიდან წამალი არ არის, რომ გამოგიწერო შესაფერი წამალი, ამას მიაწერენ აგიტაციას. თავი საციმბირით არ მაქვსო». ამის გამო ძალიან გავრცელებულია ავადმყოფობა, განსაკუთრებით მუცლის ტიფი. საავადმყოფოში ადგილი არაა და სოფლად უწამლოდ მიცვალებულეობებს ყოველდღე მიახვენიან სასაფლაოზე. ინტელიგენცია სრულებით ვერ იტანს—საკმარისია სიცხემ აიწიოს 39 გრადუსამდე, რომ ავადმყოფი გამოესალმოს ამ ქვეყანას, ვინაიდან საერთო მოვლენათ არის გადაქცეული გულის დაავადება. ბავშვები დაუძლურებულნი არიან ცუდი კვების გამო ფილტვების სისუსტით, ნერვების აშლით და გულის ავა-

დმყოფობით. ყველა ამ უბედურებას თვით კომუნისტებიც ხედავენ და გრძობენ თავიანთ მიღწევებს. მაგრამ რა ქნან: გადახრას, მემარცხნეობას, ოპორტიუნისმს, შემძრომობას და ყველაფერ სიავეს დაატევენ თავზე. პარტიის წევრობას თქვენს ჭირი წაუღია, სამსახურიდან დაითხოვენ და მის ადგილს იქვე უთვალთვალებენ «პარტიინი» არშაკა, მნაცვანი, და ამბარცუმი. გარდა ამისა, იქვე მზათ არიან მუქთახორა ბერიას დამქაშნი, მიადგებიან იმ წუთში, როგორც მგელნი ლეშს. ასეთ შემთხვევასაც ქონდა ადგილი: ს. ბ.—ში კომუნისტი ლ—მე თავს იმართლებდა: რა ვქნა, ძმაო, კომუნისტი რომ არ ვიყო, არ მეცხოვრება და ცოლშვილი სიმშლით გამიწყდება, თორემ კი ვიცი და ვხედავ, რა უბედურებაც არის ქართველი ერის თავზეო». მეორე შემთხვევა: კოლექტივის წევრებს ერთ დღეს უნდა ემუშავნათ «ბუქსირზე» სოიას გასათონხათ და როდესაც მიდიოდნენ, შეხვდა მათ კოწია სოსელია (კომუნისტი) და კითხა, თუ საით მიემართებოდნენ გლეხები, როდესაც უპასუხეს, რომ მიდიოდნენ სოიას გასათონხათ, სოსელიან უთხრა: «ჩემო ძმაო, სოია ევროპისათვის არის, წადით და სიმინდი მაინც გათონხეთ, თორემ სიმშლით ამოწყდებითო». წარმოსადგენია, თუ რა მოუვიდოდა სოსელიას. ზოგიერთ შემთხვევაში კომუნისტები ვანგებ წამოიხსვრიან ასეთ სიტყვებს, რომ დაახწიონ თავი პარტიას.

4. არტელები სოფლად.

ზოგან არის არტელები, მაგრამ მხოლოდ ადგილობრივი კომუნისტებისათვის, მაგ. ფესსაცმელის არტელი ლანჩუთში. მისი თავმჯდომარეა არტემ ფაცულია (კომუნისტი), ბატონ-პატრონი არტელისა. ამას წინათ მას მიუღია ტყავეულობა, არ მიუტანია არტელში, დაურიგებია პარტიომის მდივნის რამიშვილისათვის, აღმასკომის თავმჯდომარის და გეპეუს თანამშრომლებისათვის, რვეზიამ აღმოაჩინა ეს და ფაცულიას მოსთხოვეს პასუხი. ფაცულიამ ბრალი დასდო მოანგარიშეს ვინმე მდინარაძეს (ეს მიღებულია—პასუხის მგებელი კომუნისტი ახდენს გაფლანგვას და შემდეგ აბრალებს ტექნიკურ მომუშავეს). მდინარაძემ იმდენი იყოჩაღა, რომ შესძლო საქმის გამოაშკარავება და მით გამომყლანება საქმის მეფლი ვითარების. ამის შემდეგ სარევიზიო კომისიამ კრებას მოასვენა: მართალია ტყავი არ აღმოჩნდა, მაგრამ გაუგებრობას ქონია ადგილი და სინამდვილეში კი ტყავი წაუღიათ ჩვენს პასუხის მგებელ ამხანაგებსო. ხოლო მოანგარიშე დასაჯეს და დღეს იგი მოთავსებულია ოზოლიატორში თბილისში, თუმცა არა როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი, არამედ როგორც კონტრრევოლიუციონერი.

5. კიდევ ცოტა რამ გლეხობაზე გადასახადის გაწერის შესახებ.

ლანჩუთში ცხოვრობს უღარიბესი გლეხი ვინმე კვიტაშვილი, რომლის ცოლშვილი იმყოფება აუწყრელ პირობებში, თითქმის ნახევრათ ტიტვლები არიან. ერთ ბედნიერ დღეს ადგილობრივი კოლპერატივი მიიღებს ფართალს და ურიგებს გლეხებს, ვინც მიიტანს რამეს ნატურით (ამაზე მოგახსენეთ



ხემოთ). კვიტაშვილმა და მისმა ცოლმა ეძებეს, თუ რა წაიღონ კოლპერატივში, მაგრამ არაფერი აღმოჩნდათ წასაღები. მაშინ წავიდნენ ტყეში, დარეკეს პანტა მსხალი ერთი ტომარი და მიიტანეს კოლპერატივში, მსხალი გამოვიდა 7 მან. ე. ი. 2 ნახევარი არშინი ჩითის ფასი. წამოიღეს მთელი დღის გაცდენილებმა 2 ნახევარი არშინი ჩითი და წამოვიდნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ადგილობრივმა მთავრობამ გასწერა სოფელზე ვადასახადი და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ აღნიშნულ კვიტაშვილს, როგორც «მოვაპურეს» მიუვიდა ქაღალდი 100 მანეთის ვადასახადის. ასეთი წესწყობილება დღეს ჩვენს სამშობლოში.

მკვანძი.

**საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა**

ბრძოლა სპარსეთთან და ოსმალეთთან  
დამოუკიდებლობისთვის

სპარსეთი და ოსმალეთი ერთმანეთს ეცილებოდნენ საქართველოს დაპყრობაში, ხოლო სპარსეთი უფრო ქართლ-კახეთისკენ მოიწევდა, რომელიც მისი ახლობელი მოსახლვე იყო. ოსმალეთიკი სამცხესა და იმერეთისაკენ. სპარსეთის პირველი გამოლაშქრება მე-16 ს. დასაწყისში ქართლის მეფემ იმით შეაჩერა, რომ მორჩილება გამოუცხადა და ხარკი აღუთქვა. მაგრამ მალე გადაუდგა და ბრძოლა გაუმართა. თავში ქართველებმა დაამარცხეს სპარსელები, ხოლო მერე უკანასკნელებმა სძლიეს, ტფილისი აიღეს, გადაწვეს და მცხოვრებნი ამოხოცეს. ქართველებმა ცენტრი გორში გადაიტანეს და ბრძოლას განაგრძობდნენ. მაშინ სპარსეთის შაჰიმ ასეთ ხერხს მიმართა: ქართლის მეფე სიმონი გადააყენა და მის მაგიერ მისი გამაჰმადიანებული ძმა დავით ხანი დანიშნა. ამან მშვიდობიანობა ვერ დაამყარა და საქმე კიდევ გაუარესდა იმით, რომ ქართლს ოსმალეთის ჯარი შემოესია და დაიკავა, წინამდებ 1553 წ. ხელშეკრულებისა, რომლითაც ოსმალეთი და სპარსეთი მორიგდნენ და აღმოსავლეთი საქართველო უნდა ყოფილიყო სპარსეთის გავლენის ქვეშ და დასავლეთი საქართველო—ოსმალეთის გავლენის ქვეშ. სპარსელებმა ქართლის მეფედ ისევ სიმონი აღადგინეს, რომელიც ეს-სა თავის გუშინდელ მტრების დანებარებით შეუღდა ბრძოლას ოსმალების წინამდებ, რომელთა ბატონობა უფრო ძვირად გამოდგა, ვიდრე იყო სპარსელებისა. სიმონმა მოლაპარაკება გამართა იმერეთთან, რომელსაც აგრეთვე მოსვენებას არ აძლევდნენ ოსმალები, და უნდოდა მთელი საქართველოს გაერთიანება თუნდაც სპარსეთის მფარველობის ქვეშ. ოსმალეთი საგონებელში ჩააგდო სიმონის მოქმედებამ, ქართველების საწინამდებო ჯარი გამარავლა და ერთი დიდი ბრძოლის დროს დაამარცხა და დაატყვევა სიმონი, რომელიც მალე გარდაიცვალა ტყვეობაში. ქართველებმა დიდის ვადასახადით გამოისყიდეს ოსმალებისაგან თავისუფლებისათვის დაღუპული მეფე, მოასვენეს სამშობლოში და დაფლეს მცხეთაში.

ამის შემდეგ ოსმალების მოქმედება ქართლში შეწყვეტა და სპარსეთიც წინანდელ სიძლიერეს ვერ იჩენდა. ქართლ-კახეთის მეფეები უკანასკნელთან მორიგებით და მოაჩივრების გამოცხადებით ფიქრობდნენ თავის მოღონიერებას. ასეთი მშვიდობიანი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელდებულა. სპარსეთის ტახტი დაიკავა ფრიად ნიჭიერმა შაჰაბაზმა დიდმა (1587—1628), რომელმაც დიდთ გააფართოვა

თავისი სახელმწიფო, ოსმალებიც რამდენჯერმე დაამარცხა და განიზრახა საქართველოსუფრო მტკიცე დაკავშირება, მისი სრული დამორჩილება. ქართველებმა წინასწარ იგრძნეს მოსალოდნელი განსაცდელი, ქართლის მეფე ლუარსაბი და კახეთისა თეიმურაზი ერთმანეთს დაუმეგობრდნენ, რომ საერთო ძალით გამკლავებოდნენ მტერს. შაჰაბაზს არ ეამა მათი დაახლოვება და მათ ერთგულობის ნიშნად მძევლებად შვილები მოსთხოვა და მერე თვით მეფეები დაიბარა სპარსეთში. როცა მეფეებმა ამაზე უარი განაცხადეს, შაჰაბაზი ურიცხვი ჯარით შემოესია ქართლ-კახეთს და ააოხრა. ლუარსაბი და თეიმურაზი იმერეთში გადავიდნენ. საიდანაც ლუარსაბი შაჰაბაზმა მოტყვევებით გამოიტყუა, სპარსეთში წაიტანა და რაკი გამაჰმადიანობაზე ვერ დაითანხმა, წამებით მოაკვლევინა. ასევე აწამეს და მოკლეს სპარსეთში კახეთის დედოფალი ქეთევანი, რომელმაც არ მოინდომა თავის სარწმუნოების და ქვეყნის გმობა.

პირველი შემოსევის შემდეგ შაჰაბაზმა ქართლის მართველად დავითხანის შვილი ბაგრატი დანიშნა, ხოლო კახეთი გამაჰმადიანებულ ქართველს ისა ხანს ჩააბარა. მაგრამ იმერეთიდან დაბრუნებულმა თეიმურაზმა ძალა მოიკრიფა, სპარსელები დაამარცხა და ხელახლა გამეფდა კახეთში. შაჰიმ გადაწყვიტა კახეთის სასტიკად დასჯა და დიდი ჯარით გამოილაშქრა. კახელები მთელი წლის განმავლობაში მამაცურად იბრძოდნენ, ბოლოს იძლიერნენ და კახეთი საშინლად აკლებულ იქნა. გამარჯვებულებმა ამოხოცეს თითქმის 80 ათასი მცხოვრები და ასი ათასი ათასი შორეულ სპარსეთში გადასახლეს, სადაც მათი ჩამომავლობა დღემდის დარჩენილია: ქრისტიანული რჯული დაუკარგავთ, ხოლო ისევ ქართულად ლაპარაკობენ. შაჰაბაზის მეორე შემოსევით მთელი კახეთი თითქმის უკუაცრიელდა. შაჰის ბრძანებით კახეთში აჩენეს თუთის ხეები, რომ მკვდრთა აბრეშუმის ჭიის მოშენება არ შესძლებოდათ. თარეში დაიწყეს კავკასიონის მთებიდან ლეკებმა, რომელთაც აქვებდა შაჰი ქართველების ამოსახოცავად. აოხრებულ იქნა ქართლის ნაწილიც.

ამ დროითან იწყება საქართველოს ისტორიის ერთი შავ-ბნელ ხანათაგანი, როდესაც თუ არა გამაჰმადიანებულს და გადაგვარებულს—ქართლკახეთის ტახტზე ასვლა არავის შეეძლო. გარეუბ მტრების მძლავრობას თან მოყვა შინაური განხეთქილება და შფოთა, გაძლიერდა უთანხმოება დიდ გვარებსა და მეფეთა შორის. ხალხის კეთილდღეობა და ქონება დაიღუპა, განიავდა. მიუხედავად ამ გაჭირვებულ მდგომარეობისა ქართველობა უცხო უღელს არ



ურიგდებოდა და განაგრძობდა ბრძოლას, განსაკუთრებით ქართლში. შაჰაბაზმა კვლავ შეკრიბა ჯარი და სპარსელს სარდალს ყორჩინანს და განდგომილს ქართველს გ. სააკაძეს გამოატანა ქართლის დასამორჩილებლად. თან საიდუმლოთ ყორჩინანს დაბარა: მთლად ამოწყვეტე ქართველობა და მათ ალაგას მაჰმადიანებს ჩავასახლებო. ქართლი მართლა აოხრებულ იქნა და მრავალი ხალხი გაუღეტო. საგანგებო ვერაგობასაც მიმართა ყორჩინანმა: ს. მუსრანში ქართლის დიდი გვარის შვილები მოიწვია, შაჰის ბრძანება უნდა გაუწყოთო, და როცა მათ თავი მოიყარეს, ჯარი შემოართყა და დაახოცინა. მხოლოდ ზოგიერთმა მოასწრო გაქცევა. ასევე უნდა დაღუპულიყო სააკაძეც, რომელიც სპარსეთს მიემხრო, რომ შური ეძია თავის მტრებზე დიდგვარიანებზე, მაგრამ რომლის გამარჯვება და სახელის მოპოვება სრულებით არ მოსწონდა შაჰაბაზს. შემთხვევით სააკაძეს ხელში ჩაუვარდა შაჰის ბრძანება, რომლის ძალით ყორჩინანს მისთვის თავი უნდა მოეკეთა. სააკაძე გაიქცა, თავში ჩაუდგა სპარსეთის მოწინააღმდეგეთ და რამდენჯერმე მწარედ დაამარცხა მტერი. შაჰაბაზი იძულებული გახდა თვითონ წამოსულიყო საქართველოზე და დიდი ბრძოლის შემდეგ სააკაძე დაამარცხა.

ქართლ-კახეთი შაჰაბაზის შემოსევებმა ძლიერ დაასუსტეს. სპარსეთის გავლენა ფრიად გაძლიერდა. წინად თუ დროგამოშვებით შემოესვოდნენ სპარსელები, ესლა უკვე მათ მუდმივი ჯარი ყავდათ ჩაყვებული ქართლისა და კახეთის მთავარ ადგილებში. ქართლის გამგედ დავით ხანის შვილი, სპარსეთში აღზრდილი ხოსრო მირზა ანუ როსტომი დანიშნეს, კახეთი სპარსელს სელიმ ხანს ჩააბარეს. კახეთის გაძევებულმა მეფემ თეიმურაზმა კვლავ მოახერხა თავისი ჩადგომილი მებრძოლ ქართველებს, ორჯერ კახეთის ტახტის დაბრუნება შესძლო და დროებით ქართლ-კახეთიც კი გააერთიანა. ბოლოს ისიც დაატყვევეს სპარსელებმა, რჯულის გამოცვლა მოსთხოვეს და რადგან უარი თქვა, ასტრბადის (სპარსეთში) საპყრობილეში ჩააგდეს უკვე მოხუცი, სადაც მალე გარდაიცვალა.

მისმა სიკვდილმა ვერ შეაჩერა სპარსეთის საწინააღმდეგო ბრძოლა. კახეთში ისევ იფეთქა ძლიერმა აჯანყებამ. სპარსელები ხანდახან ზოგიერთ და მობეზრებულად მიდიოდნენ, მაგრამ ეს საქმეს არ შევლდოდა. არც ის ესალბუნებოდათ ქართველებს, რომ ქართლისა და კახეთში დროგამოშვებით ისეთი გამაჰმადიანებული ქართველები იყვნენ მეფეებად, რომლებიც გულით ქართველობდნენ და ქრისტიანობასაც კი მფარველობდნენ. საერთოდ აუტანელი გახდა ერისთვის სპარსელების ბატონობა და მათი გავლენის, ზნეხასიათის, ჩვეულებების გავრცელება, და თუ ხანდახან შენელებოდა ბრძოლა, იგი კვლავ იფეთქებდა მალე მეტის სიღონით—სპარსელების გასახეებლად და სრული დამოუკიდებლობის აღსადგენად.

ამგვარსავე გასაქირში იყო ჩავარდნილი ოსმალოებისაგან დასავლეთი საქართველო. ოსმალეთი პირველად სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს შემოესია—სამცხე საათაბაგოს. ეს მხარე მონღოლების შემოსევის დროიდან სანახევროთ დამოუკიდებელი შეიქნა

და იქაური მართველები თავის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად ყოველთვის საქართველოს მტრებს ემხრობოდნენ. ოსმალოები რომ შემოესიენ, თითქმის არავითარი წინამდევობა არ გაუწყეს. ხოლო იმერეთი, რომელიც კარგად ხედავდა, თუ რას უქადდა სამცხეში ოსმალოების დამკვიდრება, ქართლის ჯარის დახმარებით მედგრად შეებრძოლა მათ სამცხეში შემოსვლისას. ოსმალოებმა გაიმარჯვეს, ათაბაგი თავის ადგილზე დასტოვეს, ხოლო ყველგან თავისი ჯარები ჩააყენეს. მერე თანდათან ჩამოაცალეს სამცხეს ტერიტორია და პირდაპირ ოსმალეთს შეუერთეს. ბოლოს ათაბაგს მაჰმადიანობა მიადებინეს და ფაშის სახელწოდებით დანიშნეს თავის წარმომადგენლად და მართველად. დაიწყო გამაჰმადიანება მთელი კუთხის, რომელიც ოდესღაც ქართული კულტურის აკვანი იყო და საიდანაც მთელი საქართველოს გაერთიანება მოხდა. ქრისტიანობას დაუწყეს დევნა, ქრისტიანებს დაადვეს მძიმე გადასახადები, ხშირად არბევდნენ, აწიოკებდნენ, ატყვევებდნენ, ხოცავდნენ. მე-17 საუკ. მეორე ნახევრიდან მაჰმადიანობა უკვე გაბატონებული სარწმუნოება იყო. უფრო მტკიცე გამოდგა ქართული ენა, რომელიც მე-18 საუკ. დამლევამდე ბატონობდა და იგი დღესაც კიდევ ფართოდ არის დაცული გამუსულმანებულ საქართველოში დიდ ნაწილში და მკვიდრნი მაშინაც კი, როცა ქართული დავიწყებული აქვთ, თავის თავს ქართველებს (გურჯებს) ეძახიან და არა თურქებს.

ოსმალეთმა რომ სამცხე დაიპყრო, იგი მტკიცე ბაზად გაიხსნა და საქართველოს დანარჩენ ნაწილებზე თავდასასხმელად. განსაკუთრებით გაახშირა შეტევები იმერეთზე, რამაც ძლიერ შეუწყო ხელი იმერეთის მეფის ხელქვეით მყოფ ნაწილების განცალკევებას—სამეგრელო, გურია, აფხაზეთი სრულებით განდგნენ და აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს. ეს მშვენიერად გამოიყენეს ოსმალოებმა, ხან ერთს და ხან დანარჩენებს იმორჩილებდნენ, და ამავე დროს სელს უწყობდნენ, რომ დასავლეთ საქართველოს პროვინციებს ერთმანეთში სამოქალაქო ომი ეწარმოებიათ პირველობისა და ბატონობისათვის. საქმე ისე აირ-დაირია და ისე დასუსტდა მთელი მხარე, რომ მე-18 საუკ. დამდეგს ოსმალეთს ხელში ჰქონდა ყველა გამაგრებული ადგილები და შიგ თავისი ჯარი ჩაყენებული. ურთიერთ ხდომამ, ომიანობამ და შფოთმა და ქართველების ტყვეებად გაყიდვამ, რაიც მოყვა ოსმალების გაბატონებას, უკიდურეს გამწარებამდე მიიყვანა ქვეყანა.

სწორედ ამავე დროს მოხდა, რომ ოსმალოებმა ისარგებლეს სპარსელების სისუსტე და ქართლზე გამოილაშქრეს. აღეს ტფილისი და მალე მთელი მხარე დაიმორჩილეს, მერე კახეთშიაც გადავიდნენ და ამრიგად მთელ აღმოსავლეთ საქართველოშიც გაბატონდნენ. მათ წინამდევ დაიწყეს ბრძოლა კახეთის ტახტის მემკვიდრემ თეიმურაზ მეორემ და მისმა შვილმა ერეკლემ. რამდენიმე ხნის შემდეგ სპარსეთში მდგომარეობა გამოკეთდა, ახალმა შაჰიმ ნადირმა ოსმალოებს შეუტია და ისინი განდევნა ქართლ-კახეთიდანაც. მაგრამ ქართველებისთვის სა-



სარგებლო არ სჩანდა ბატონების გამოცვლა. ნადირ შაჰიმ განიზრახა აბაზის გეგმის განხორციელება: საქართველოდან მოუსვენარ და შეუთრეგებელ ქართველების აყრა და მათ ალაგას მუსულმანების დასახლება. ამის შედეგის იყო, რომ ქართლ-კახეთში აჯანყებები აჯანყებებს მისდევდნ და მიუხედავად სპარსთა უსასტიკეს ზომებისა მღელვარება თანდათან იზრდებოდა.

ამ განწყობილებაში თითქმის ერთგვარი გარდატეხა მოხდა ქართველ-სპარსელების ურთიერთობაში. ნადირ შაჰი ხედავდა, რომ ძალით საქართველოს დამორჩილება არ ხერხდებოდა, თანაც ხედავდა, რომ კახეთის ტახტის მემკვიდრე თეიმურაზი და მისი შვილი ერეკლე მას ლოიალურად ეპყრობოდნ. კარგად გაიცნა და დააფასა უკანასკნელის სახელმწიფოებრივი და სამხედრო მაღალი ნიჭი, როცა იგი მასთან იყო და ენმარებოდა ინდოეთისა და სხვა დიდ ომებში. ამიტომ ნადირმა დათმობა და მორიგება ამჯობინა: ქართლის ტახტი ქართველ სამეფო ოჯახის ყველაზე უფრო პაპულიარულს წევრს თეიმურაზ II-ს შესთავაზა და კახეთის მეფედ კი აღიარებულ იქნა მისი შვილი ერეკლე II. ამ მოვლენას ქართველობა დიდი სიხარულით და იმედით შეხვდა—ერთ საუკუნეზე მეტი მათ არ ენახათ ქართველი ქრისტიანი მეფე—წინადა სულ სპარსელების მიერ გამაჰმადიანებული მეფეები ისინდნ ქართლისა და კახეთის ტახტზე. ყველა დაპყრილი სხეულის გამომთვლებას და არეული მდგომარეობის გამოკეთებას მოელოდა.

აღორძინებისაკენ.

ქართველობას იმედი არ გაუცრუვდა. თეიმურაზის და ერეკლეს გამეფებიდან ქვეყანა ნელნელა დამშვიდებას იწყებს. ფეოდალები, რომლებიც წინადა გამაჰმადიანებულ მეფეს ებრძოდნ და მით ერთგულ დამოუკიდებლობას ესარჩლებოდნ, ახლა ქრისტიანე მეფეების წინაშე წინანდელი წინამდევობა დასტოვეს და ხელი შეუწყვეს სახელმწიფოებრივი მართველობის განმტკიცებას. ეს გარემოება კარგად ისარგებლეს მეფეებმა და ენერგიული ბრძოლა დაუწყეს გარეშე მტრებს. სპარსეთის შაჰი ნადირი მოკლულ იქნა, ამას ხანგრძლივი არეულობანი მოყვა და ქართლ-კახეთი სრულიად დამოუკიდებელი შეიქნა სპარსეთისაგან და მცირე სპარსელი ჯარი, რომელიც კიდევ იყო დარჩენილი აქა-იქ, განდევნილ იქნა საქართველოს ტერიტორიიდან. მალე ქართლ-კახეთი ისე მოღონიერდა, რომ სპარსეთის სავასალო ერევნის და განჯის ხანები დაიმორჩილეს და ხარკი დადვეს. მეფეებს მოუხდათ თვითონ სპარსეთის შინაურ საქმეებშიც ჩარევა, ვინაიდგან იქ მებრძოლი სხვა და სხვა ხანები საქართველოს მომიჯნავე ადგილებს ემუქრებოდნ. სპარსეთს ავღანელები შემოესივნნ და მათმა წინამძღოლმა თავრიზი ალი. მაშინ სპარსელებმა ქართველებს დახმარება სთხოვეს, დახმარებას ითხოვედნ ერევნის, განჯის, ყარაბაღის და შარვანის ხანები. ქართლ-კახეთის ჯარმა ერეკლეს მეთაურობით სასტიკად დაამარცხა ავღანელები და დიდათ გაითქვა სახელი. ევროპაშიც კი მიაქციეს ყურადღება და ყველა აღტაცებით ისენიებდა მის ნიჭს.

მართლაც ის იმეიათი პიროვნება იყო და დიდი მემარი. თავის ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ორმოცზე მეტი ბრძოლა გადახდა და ამითში ოცდაათზე მეტი გამარჯვებით დაამთავრა.

1762 წლის თეიმურაზი მეორე გარდაიცვალა და ქართლ-კახეთი წინადაც ფაქტიურად შეერთებული, ახლა სრულიად გაერთიანდა იურიდიულადაც. ერეკლე განაგრძობდა თავის ენერგიულ სავარეო პოლიტიკას, მთელი მისი ყურადღება დამოუკიდებლობისაკენ იყო მიქცეული. სპარსეთის მხრით დროებით მანაც უზრუნველყოფილი იყო. ალაგმა ლეკები და განიზრახა ოსმალეთთან შებრძოლება და სამცხეს შემოერთება. იმ დროს რუსეთ-ოსმალეთის ომი სწარმოებდა და ერეკლემ ეკატერინე მეორეს შეუთვალა, ჯარი დამხმარე და ოსმალეთს შევეტევი. რუსეთმა მცირე რაზმი გამოუგზავნა ტოტალბენის მეთაურობით. ხოლო როცა ქართველთა და რუსის ჯარები ოსმალეთის საზღვარს მიუახლოვედნ და შეტევაზე უნდა გადასულიყვნნ, ტოტლებენი მოულოდნელად უკან გამობრუნდა და ქართველები მარტო დარჩნნ. ერეკლე მანაც არ შეშინდა, მარტო შეებრძოლა ოსმალეებს თავის ჯარით, დაამარცხა და გააქცია. ამგვარივე ამბავი მოხდა მე-18 საუკუნის დასაწყისში, როცა პეტრე დიდი სპარსეთს ეომებოდა ქართველებთან შეკავშირებით და როცა ქართველმა მეფემ ბრძოლის ველზე 40 ათასი ჯარი მიიყვანა, რუსები აიყარნნ და ქართველები მარტო დასტოვეს მტრის პირისპირ.

ერეკლე კარგად ხედავდა, რომ მარტო გარეშე მტრების მოგერიება არ იყო საკმარისი სახელმწიფოს ვასამთელებლად. საჭირო იყო შინაური ცხოვრების დალაგება და მოწესრიგება. მოახდინა რეფორმები საადმინისტრაციო და სამოსამართლო აპარატის გასაუმჯობესებლად და მიიღო ზომები, რომ საგანგებოდ მომზადებული პირები ყოლოდა სხვადასხვა თანამდებობისთვის, განსაკუთრებით დაბალ წრეებიდან, რომლებიც უფრო საიმედოდ მიაჩნდა მართველობისათვის. დიდი ყურადღება მიაქცია ეკონომიურ აღორძინებას. აამოძრავა ოქროსა და ვერცხლის მადნების მუშაობა და ჩააბარა გამოცდილ პირებს. დააწესა მუდმივი და საყოველთაო მილიციონური ჯარ და გამართა ტყუილისში სამხედრო იარაღების ქარხანა. მისი განსაკუთრებული საზრუნავი სავანი იყო სწავლა-განათლება—გამარავლა სკოლების რიცხვი და გახსნა ორი უმაღლესი სასწავლებელიც—თფილისში და თელავში. საერთოდ მე-18 საუკუნეში და მე-17 ს-შიც საქართველოს დიდი კულტურული ამოძრავება დაეტყო, მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ ვილაპარაკებთ. ჯერ კი გავეცნოთ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობას.

სწორედ როცა აღმოსავლეთ საქართველოს ერეკლე მეფე განაგებდა, დასავლეთში—იმერეთშიც ტახტი ეკავა მეტად ნიჭიერ მეფეს სოლომონ პირველს. იგი დაუძინებელი მტერი იყო სამეფოს მთლიანობის დამშლელი ფეოდალების და ბრძოლითა და თავის მოხერხებული პოლიტიკით ბევრი ალაგმა და დაიმორჩილა. მერე თავისი იარაღი მიმართა ოსმალეების წინამდევ და სასტიკად აკრძალა ტყვეთა ვაჭ-



რობა (სიკვდილით დასჯა შემცილო გამყიდველისთვის), რაც შემოდებული იყო ოსმალეთის გავლენით. ამან გამოიწვია ომი ოსმალეთთან. 1757 წელს ქართველებმა დამარცხეს ოსმალთა ჯარი. ამის შემდეგ ოსმალეთმა რამდენჯერმე სცადა წინანდელი მდგომარეობის აღდგენა, სამჯერ გამოლაშქრა იმერეთზე, მაგრამ სამჯერვე დიდი ზარალით უკუქცეულ იქნა. ხოლო მეოთხეჯერ სოლომონი დამარცხდა ზოგიერთი განდგომილი ფეოდალის წყალობით. მაგრამ ოსმალები ხედავდნენ, რომ ქართველებთან ბრძოლა ძვირად უჯდებოდათ და დამარცხებულ სოლომონს მოურიგდნენ იმ პირობით, რომ მეფეს მცირე ზარკი უნდა ექლია მათვის. სოლომონმა ისარგებლა სწავი, შეებრძოლა განდგომილ თავადებს, დაიმორჩილა ისინი და შემდეგ კვლავ ოსმალებს აუტეხა ბრძოლა. დაამარცხა და განდევნა სრულიად თავის ტერიტორიიდან. ხალხმა სული მოითქვა, დაიწყო მშვიდობიანი ცხოვრება, მოღონიერდა ქონებრივად და შეუდგა დანგრეული ადგილების კვლავ აღშენებას და დაცარიელებული ქალაქების და სოფლების დასახლებას.

როგორც აღმოსავლეთი საქართველო გაერთიანდა, ისე დასავლეთშიც აუცილებელი შეიქნა გაერთიანების განხორციელება და აფხაზეთმა, სამეგრელომ და გურიათ აღიარეს იმერეთის მეფის უფროსობა და სუვერენობა. ეროვნული მთლიანობის საპირუტყვა იმდენად მომწიფებული იყო, რომ როცა სოლომონ პირველი გარდაიცვალა, იმერეთის მოწინავე პირებმა ერთკვლე მეფეს მიმართეს, რომ მიეღო იმერეთის ტახტი და ამრიგად მომხდარიყო მთელი საქართველოს გაერთიანება. სამწუხაროთ ზოგიერთმა გარემოებამ ხელი შეუშალა მაშინ ამის შესრულებას და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ტფილისში შეიკრიბნენ საქართველოს ყველა სამეფოს და სამთავროს წარმომადგენელნი და შეკრეს ერთობის მტკიცე კავშირი.

ქართველი ერის პოლიტიკურ ცხოვრებას აშკარად დაეტყო აღორძინება მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში. განსაკუთრებული სიცხოველე გამოიჩინა ერმა საგანმანათლებლო-კულტურულ შემოქმედებაში, რაიც არ შეწყვეტილა მთელი იმ საშინელ ბრძოლების სივრცეზე, რომელთაც აწარმოებდა საქართველო სამი საუკუნის განმავლობაში ოსმალეთისა და სპარსეთის წინააღმდეგ.

უკვე გვიჩნდა მოხსენებული, რომ მონღოლების შემოსეველი კატასტროფული იყო ქართული კულტურისათვის, რომლის მატერიალური ნაშთები დაქცეულ იქნენ, და ხელნაწერების დიდი ნაწილი შთანთქა ცეცხლმა და აოხრებამ. მეთექვსმეტე საუკუნეში ერმა თავი მოუყარა როგორც იყო ნაფლეთებს და ზოგი გადაარჩინა სრულს დაღუპვას. ამას მოყვა თანდათან ეროვნული შემოქმედებითი ტრადიციების გაღვივება და მე-17-18 სს. იწყება ქართული კულტურის გამორცხვება. პირველ ყოვლისა ქართველები დაეწაფნენ თარგმანებს, უმთავრესად სპარსულიდან და გადმოიღეს სპარსული ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებნი ეპიკური, რომანტიკული, ლირიკული, ბევრი ისეთი, რომლებიც წინად

უკვე იყო გადმოთარგმნილი, მაგრამ დაკარგულიყო. არ ყოფილა დატოვებული უყურადღებოთ არაბული, ბერძნული და სომხური მწერლობაც. ითარგმნებოდა ისტორიული, ფილოსოფიური, სამედიცინო და სხვადასხვა სპეციალური დარგის ნაწერებიც. მოწინავე წრეებში კარგად იცოდნენ უცხო ენები—სპარსული, თურქული, ბერძნული და ლათინური (ეს უკანასკნელი კათოლიკე მისიონერების გავლენით). თარგმანებმა ხელი შეუწყო ორიგინალური ლიტერატურის განვითარებას. გაჩნდნენ ქართული ისტორიული ეპოსები და განსაკუთრებით აყვავდა ლირიკული პოეზია, რომლის სევდიანი და მისტიკური კილო საუცხოვოთ გამოხატავს იმდროინდელ საქართველოს მძიმე ვითარებას. წარმოიშვა ახალი დარგი მემუარებისა და მოგზაურობათა აღწერის. დიდად დაწინაურდა სასულიერო მწერლობა, რომელიც ყოველთვის მდიდარი იყო საქართველოში, და ამასთან დაკავშირებით საეკლესიო გაღობა. რადგან საქართველო გარშემორტყმული იყო მუსულმანობით და საფრთხე მოელოდა ქრისტიანობას. დაიწერა პოპულიარული სარწმუნოებრივი წიგნები ფართოდ გასავრცელებლად ხალხში. შემუშავდა ქართული ენის გრამატიკები და ლექსიკონები და სხვადასხვა სახელმძღვანელოები. დაიწერა ორიგინალური ფილოსოფიური წიგნები. არ დარჩენილა უყურადღებოთ ისტორია და გეოგრაფია—გამოჩნდა მთელი რიგი ისტორიკოსებისა, რომლებიც დიდად დაკვირვებით იკვლევდნენ განსაკუთრებით საქართველოს უკანასკნელი საუკუნეების თავგადასავალს. ფრიად აღსანიშნავია მეფის ვახტანგ მე-VI მოღვაწეობა. რომელმაც «სწავლულთა კაცთა» საგანგებო კომისია შეადგინა მე-18 საუკ. დამდეგს ქართული ისტორიული დოკუმენტების შესაკრებად და დასალაგებლად. ამ ვახტანგის შვილმა ვახუშტიმ დასწერა საქართველოს ისტორია დასაბამიდან და ვრცელი გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული აღწერილობა ცხრა თავის ქვეყნის ასეთივე მზრუნველობა გამოიჩინეს კანონმდებლობისთვისაც: იმავე ვახტანგმა შეკრიბა ძველი ქართული კანონები და დაურთო ახალი, თავის დროის.

მწარე ისტორიული ბედის მიზეზით სტამბა საქართველოში გაიმართა დაგვიანებით—მხოლოდ 1709 წ. და საღვთო წიგნების შემდეგ დაიბეჭდა ქართველი გენიის საუკეთესო ნაწარმოები «ვეფხისტყაოსანი» და სხვა საერო ნაწერები. დაიწყეს ბიბლიოთეკების დაარსებაც წიგნების და ხელნაწერების თავმოყვრულად—მათ შორის განთქმული იყო ტფილისის და მცხეთის და კერძოდ ანტონ I კათალიკოსის, დიდი საეკლესიო მოღვაწის და მწერლის. მე-18 ს-ის ქართველობა იმდენად მოწადინებული იყო განათლების გავრცელებას, რომ ყოველი ეპისკოპოსი კურთხევის დროს ხელწერილ აღთქმას სდებდა, რომ გაამრავლებდა სკოლებს თავის ეპარქიაში. დასასრულად უნდა მოვისხენიოთ, რომ მე-18 საუკ. ბოლოს სათელთრო ხელოვნებასაც ჩაეყარა საძირკველი: მეფის კარზე დაიწყეს წარმოდგენების მართვა და გარდა ქართულ ნაწარმოებთა გაჩენისა, ფრანგულიდან კორნელის, ოასინის და ვოლტერის პიესებიც იქნა გადმოთარგმნილი.



### სამგლოვიარო კრება ნ. რამიშვილის

#### წლისთავის აღსანიშნავად

ქართულ ეროვნულმა ცენტრმა მოაწყო კვირას, 13 დეკემბერს, პარიზში, «Société Savante»-ის დარბაზში სამგლოვიარო კრება ნოე რამიშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის შესრულების აღსანიშნავათ. გარდა ეროვნულ ფრონტში შემავალ ქართულ პარტიათა წევრებისა, კრებაზე მოწვეული იყვნენ ჩვენი მეზობელ ერების წარმომადგენლებიც: აზერბაიჯანელები, სომხები, მთიულნი და უკრაინელები. დარბაზი სავსე იყო ხალხით. ტრიბუნაზე ნოე რამიშვილის დიდ სურათს ამკობდა ეროვნული დროშა და ცოცხალი ყვავილები.

მ. ნახ. საათზე სამგლოვიარო კრება გახსნა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ნოე ქორდანიამ, ქართული ეროვნული ცენტრის სახელით მისი წინადადებით დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას, რის შემდეგ ნოე ქორდანიამ წარმოთქვა ქართულად შემდეგი:

«ბატონებო, გავიდა ერთი წელი რაც დავკარგეთ ჩვენი ქვეყნის დიდი მოამაგე ნოე რამიშვილი. დღეს აქ შევიკრიბეთ მის პატივისაცემლათ, მისი ნაღვაწის და ნამუშვირის მოსაგონებლათ, მისი გზის გასაგრძელებლათ.

ჩვენ ქართველებს ერთი ნაკლი გვაქვს, არ ვიცით საფლავთა პატივისცემა, მიცვალებულთა დამახსოვნება. შეხედეთ აქ: ვეროპაში. როგორ გამშვენებულა მუდმივი სავანე, როგორი სიფაქიზით და მოწიწებით ეპყრობიან ცოცხალნი წასულით და მიდიან სათაყვანოთ მათ ნეშტთა წინაშე. და ეს განა მკვდართ ესაპირობათ? არა, ეს საპიროა ცოცხლებისათვის, ამით აწმყო აბამს თავის თავს წარსულთან და მომავალთან, იმ დროსან როცა აწმყო წარსულით გადაიქცევა და მოგონების საგნათ თვით ხდება.

ნ. რამიშვილის აღარ ეპყრობება ჩვენი ზრუნვა; მან განვლო სასახლოთ თავისი გზა, დააბოლავა თავისი დღენი გმირულათ. მისი მოგონება ჩვენი გვეპირვება; ვიმყოფებით მეტათ რთულ და არეულ დროში, ქვეყნიერების ჰაერი გაქუნთილია მოულოდნელობით, დღეს არავინ იცის ხვალ რა იქნება, რა მოვლენის წინაშე ვიქნებით დაყენებული. ასეთ დროს ჩვენ აქ ვისვენებთ იმ პირს, ვინც ჩვენთან უნდა ყოფილიყო და აღარ არის, ვინც გაგვამხნევებდა, გაგვამტკიცებდა, ვინც იმედის და აღფრთოვანების აღს მოგვიცემდა, ვინც მოქმედებას და ბრძოლას გვიკარნახებდა. ის აღარ არის, არის მხოლოდ მისი მოგონება, მოგონება მისი თავისდადების, მხნეობის, სიმტკიცის და ჩვენც ვიყრით თავს მისი სურათის წინაშე და ვამბობთ: ეს თვისებები ჩვენ ყველას გვეპირვება; ერთობა, ძლიერი ნების ყოფა, საღი ოპტიმიზმი, იმედიანობა და მხნეობა—ყველა ეს ნოეს სულიერი სამკაული დღე იყოს ჩვენი სამკაულიც.

ბატონებო, ჩვენ პატარა ერის შვილები ვართ, პატარა ქვეყნის მოქალაქენი. დიდი ქვეყნების შეჯახებაში და ამღვრევაში პატარები ადვილათ იქცევი-

ტებიან. ჩვენ გვმართებს დიდი სიფხიზლე და გამპირიანობა რომ ხელი შეუწყუთ ჩვენს ერს მივიდეს თავის საკუთარ ნავთსადგურამდე, გავიდეს აბობოქრებული ტალღებიდან სამშვიდობოზე; ჩვენი კვდრები ჩვენი სისხლიანი გზაა, მათი დაცემა ჩვენი წმიდა ანდერძია; ავანთოთ კელეპტარი მათ წინაშე, უგალობოთ საუკუნო ცხოვრება, ცხოვრება ჩვენი ერის გულში და უთხრათ: საქმენი თქვენ მიერ დატოვებული ჩვენგან იქნება გაგრძელებული».

სომხეთის რესპუბლიკის დელეგაციის სახელით ილაპარაკა ა. ი. ნატოსიანმა:

«... უწინარეს ყოვლისა საზოგადო ცხოვრებაში ის ორ რამეს ეტრფოდა: სამშობლოს და დემოკრატიულ იდეას საერთოთ. ის იბრძოდა ორი იდეალის განხორციელებისათვის: ჩაგრულ ერთა ბორკილების დამსხვრევა და თავისუფალი და დამოუკიდებელი სამშობლო.

მას ჰქონდა უნარი მასების აღფრთოვანებისა და მათი ბრძოლაში გაყვანისა. ის იყო დიდი ორგანიზატორი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე და ამავე დროს ნამდვილი რევოლუციონერი. მისი სახელი სამარადისოთ აღიბეჭდება კავკასიის და საქართველოს მატინანში. კავკასიისათვის ის იყო კონფედერაციის მომხრე და ეს პოლიტიკური ფორმა მიიჩნდა მას საუკეთესოთ, კავკასიის ერთა ბედნიერებისათვის. ყველაფერი ხალხისათვის, ყველაფერი ხალხით—აი მისი დევიზი, მისი მოქმედების გეზი.

დღეს ის აღარ არის. მას არ მოეწყო ეხილა განთავსულებული და ბედნიერი სამშობლო, მაგრამ ჩვენ მას არაოდეს დავივიწყებთ»...

აზერბაიჯანელთა სახელით ბ. მისი უერთდება ნოეს ოჯახის და მის თანამემამულეთა კლოვას:

... ღრმა რწმენის სოციალისტი და დემოკრატი, ნოე რამიშვილი მთელი თავისი სიცოცხლე ემსახურებოდა მის კეთილშობილ მიზნებს და გარდა მებაირახტრე როგორც საკუთარი ერის, ისე რუსეთის მიერ ჩაგრულ სხვა ერების განთავისუფლებისა...

მეზობელ ერებისადმი მეგობრობა და კეთილგანწყობილება არასოდეს შესუსტებულა ნოე რამიშვილში და მან შესძლო კიდევ მათ შორის მჭიდრო კავშირის დამყარება საბოლოო მიზნისაკენ ერთად სვლისათვის...

ნოე რამიშვილი აღათ არის ჩვენ შორის... მაგრამ მის მიერ დაწყებულ საქმეს, მის მიზანს ვერაფერი ვერ დათრგუნავს. ნოე რამიშვილის მიერ დასახული მიზანი მიღწეულ იქნება, კავკასიის ხალხები დამსხვრევენ ყველა დაბრკოლებებს და მოიბოვებენ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ნოე რამიშვილის, ამ თავისუფლების ერთ უდიდეს მებაირახტრის სახელი არასოდეს აღმოიფხვრება კავკასიის ერთა ისტორიიდან და დარჩება სამარადისოდ კეთილშობილების, გამძლეობის და მხნეობის ნიმუშად».

საქარ. სოც. დემ. პარტიის სახელით ბ. ზ. ჩიჩუა მოგვითხრობს რამდენიმე მოგონებას ნოეს პარტიულ და პოლიტიკურ მოღვაწეობიდან. ის მოიგონებს პირველ შეხვედრას მასთან 1901 წ. პეტერბურგს, როცა ნოე დორპატის სტუდენტი იყო. შემ-

დღე ის აგვიწერს ნოეს მჩქეფარე, მხნე და მრავალ-  
მხრივ პარტიულ მუშაობას ბათუმში, თბილსში თუ  
სხვაგან და ბოლოს ახასიათებს მას როგორც თავი-  
სუფაო საქართველოს დიდ პოლიტიკურ მოღვაწეს  
და როგორც პარტიულ მუშაკს.

ბ. შაჰსანოვი.—კავკასიის მთიელთა სახელით  
სამიძიარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს და  
მთელს საქართველოს ნოე რამიშვილის დაღუპვის  
გამო. ეს დღე—ამბობს ის—დარჩება გლოვის დღეთ  
არა მარტო ქართველების, არამედ ყველა კავკასიე-  
ლებისათვისაც. გვივლის მრავალი წელი, ხოლო ამ  
დღეს ნოეს სული მუდამ ჩვენს ირგლივ იქნება და  
მისი აზრდილი შემოგვძახებს: რა გააკეთეთ ჩემს მი-  
ერ დაწყებულ საქმისათვის, ჩვენი მიზნების გასახო-  
ციელებლათ... ნოეს სისხლი, ჩვენი საქმისათვის  
დაღუპვაც ყველა გმირთა სისხლთან ერთად, იქნება  
ის ცემენტი, რომლითაც შეიკვრის საერთო კავკასი-  
ური სისხლი. ვაი იმ კავკასიელთ ვინც ნოეს მიერ  
თელილ გზას აცდებდა!

ბ. გ. გვჩავაზი ლაპარაკობს ქართველ პოლიტი-  
კურ პარტიათა სახელით—ნოე რამიშვილის დიდი  
ეროვნული ღვაწლის დაფასება არ შეიძლება, თუ არ  
გავიხსენებთ ის საზინელი პირობები, რომელშიაც სა-  
ქართველო იმყოფებოდა, როდესაც მან ხელისუფ-  
ლება აიღო. ერთი მხრით მოხლეჩვებული ბოლშევი-  
კური ანარქია ეხეთქებოდა საქართველოს, მეორე  
მხრით უცხო დამპყრობი ჯარები. მის ენერგიამ და  
მხნეობამ შესძლო ამ ტალღების შეჩერება, გზის გა-  
კაფვა დემოკრატიისათვის და ქვეყანაში ევროპულ  
დემოკრატიულ წესრიგის დამყარება. ის იყო დაუნ-  
დობელი და სასტიკი მისი ქვეყნის მტრებისათვის,  
ხოლო არასოდეს უღალატნია, დემოკრატიისათვის.  
თუ საქართველო დაუშტკიცა ევროპას, რომ ის ცი-  
ვილიზაციის ქვეყანა ამაში უდიდესი როლი მიუძ-  
ღვის ნოე რამიშვილს.

ჩვენი ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ, ემიგრაციაში  
ნოე რამიშვილი კიდევ უფრო დიდი მოღვაწე გამო-  
ჩნდა. ვაჭიერებაში მან გამოიჩინა უდიდესი გამძლე-  
ობა, მხნეობა, გულგაუტყულობა, ბრძოლის უნარი.  
ის ვახდა სული იმ კოალიციისა, იმ «გულითადი კა-  
ვშირისა», რომელიც დაწესებულია რუსეთის მიერ  
ჩაგრულ-ერთა შორის, ის თვით იყო ამ ერთობის  
შემქმნელი. ნ. რამიშვილი შიშს გვირგინად მის ქვეყნის  
მტრებს და აკი მოცილეს ის თავიდან. საქ. პოლ. პა-  
რტიების სახელით ორატორი ქედს იხრის მისი  
ოჯახის და პოლიტიკური მეგობრების გლოვის წი-  
ნაშე და გამოსთქვამს რწმენას, რომ რამიშვილის  
მიერ დაწყებული დიდი საქმე დასრულებული იქნე-  
ბა სხვების მიერ.

კრების თავმჯდომარე, ნოე ჟორდანიას, მადლო-  
ბას უძღვნის დამსწრეთ მობრძანებისათვის და, მი-  
მართავს რა სტუმრებს, გამოსთქვამს რწმენას, რომ  
ჩვენს მეზობლებთან არსებული მეგობრობა კანმტ-  
კიცებული იქნება სამუდამოთ.

ნ. რამიშვილის წლისთავის აღსანიშნავი კრებები  
გამართულ იქნა აგრეთვე ვარშავაში, ბერლინში და  
პრალაში.

ი ნ დ მ ე თ ი ე ღ ა ი ნ მ ლ ი ს ი

ეგრედ წოდებული «მრგვალი მაგიდის» მეორე  
კონფერენცია, რომელსაც უნდა მოეგვარებია ინდო-  
ეთის საკითხი და რომელიც უკანასკნელ სამი კვირის  
განმავლობაში სულს ძლივს ითქვამდა. ვარდაიცვა-  
ლა პირველ დეკემბერს. ეს უკვე მესამეჯერაა, რომ  
ინგლისის მიერ 1919-ში ინდოეთისადმი დაპირების  
სისრულეში მოყვანის ცდა უშედეგოთ თავდება.

ცნობილია, რომ ბრიტანიის ინდოეთმა, რომე-  
ლმაც ომის დროს ჯარით და ფულით დახმარება გა-  
უწია ინგლისს; მოითხოვა რომ მას მინიჭებოდა დო-  
მინიონის უფლებანი. რამდენიმე წლის წინეთ მას  
უმოქმედო პოლიტიკურ სტატუტის პირველი რეფორ-  
მა, რომელსაც უნდა მოყოლოდა მეორე ეტაპი და-  
მოუკიდებლობის მოპოებაში. აქედან დაიბადა ეგ.  
წოდებული საიმონის კომისია, რომელსაც ინდოე-  
ლები საზოგადო ბოიკოტით შეხვდნენ და რომლის  
მომხსენება და დასკვნა ვერავისთვის შეიქნა მისაღე-  
ბი.—ამის შემდეგ შეყარეს «მრგვალი მაგიდის» პირ-  
ველი კონფერენცია, თუ საიმონის კომისია არ იყო  
მისაღები იმ მიზნების გამოც, რომ მასში არ მონაწი-  
ლეობდნენ ინდოელების წარმომადგენლები, ესლა  
მოუწოდეს თვით ინდოელებს. იწვევენ მათ ლონდო-  
ნში, სადაც ინგლისელებთან ერთათ და პირველ მი-  
ნისტრის მაკდონალდის თავმჯდომარეობით, უნდა  
გამოენახათ საშვალბანი საკითხის მოსაგვარებლათ.  
ამ ცდას მოყვა შედეგათ ის, რომ მოხდა შეთანხმება  
ინდ. ფედერატულ სახელმწიფოს მოწყობის პრინ-  
ციპის და სხვა დამოძებებისთვის. მაგრამ ფაქტიურათ  
არავითარ გადაწყვეტილებას ქონია ადგილი, რადგან  
პროექტის განსახორციელებლათ საქირო იყო თვით  
ინდოელთა ერთი მეორეში შეთანხმება. ხოლო მუს-  
ლიმანთა უმცირესობამ (76 მილიონი) არ მიიღო ის  
პირობები, რომელსაც დანარჩენი ინდოეთი მოით-  
ხოვდა. ინგლისმა კი განაცხადა, რომ არაფერია შე-  
საძლებელი, სანამ ეს შეთანხმება არ იქნებოდა მიღ-  
წეული. ამას გარდა, ინდოელები არ სცნობდნენ ლო-  
ნდონში შეკრებულ კონფერენციას, რომლის ინდოე-  
ლი წევრები იყვნენ თვით ინგლისელების მიერ ზევი-  
დან დანიშნულნი და «კონგრესის პარტია», რომლის  
სულის ჩამდგმელია ცნობილი ჰანდი (ის ამ დროს  
ცინეში იჯდა) და რომელმაც უარყო ინდოელების  
ასეთი «წარმომადგენლობა», არ დასწრებია კონფე-  
რენციას. ასე რომ ეს პირველი კონფერენცია დამ-  
თავრდა ისე, რომ მას არ მოყოლია არავითარი და-  
ღებითი შედეგი.

რამდენიმე კვირის შემდეგ ციხიდან ანთავისუფ-  
ლებენ ჰანდის, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს  
ინგლისის მეფის მოადგილე ლორდ ირვინთან: ხდება  
შეთანხმება, რომ მოწვეულ იქმნას კონფერენცია,  
სადაც ინდოელებს ეყოლებათ ნამდვილი წარმომად-  
გენლობა და რომელიც ითამაშებს დამფუძნებელი  
კრების როლს და მიიღებს თავის თავზე ყოველწიარ  
პასუხის მგებლობას. აქედან იბადება «მრგვალი მა-  
გიდის» მეორე კონფერენცია, რომელსაც ესწრება  
თვით ჰანდი. რეალურათ არც ამ კონფერენციას ყო-  
ლია ინდოეთის ნამდვილი წარმომადგენლობა, რად-



გან დელეგატები არ იყვნენ არჩეულნი, მაგრამ მას ესწრებოდა «კონგრესის პარტია», რომელიც არ უარყოფდა ფედერალურ სახელმწიფოს პრინციპს. ამ გვარათ, თითქმის საკმაო იყო საკითხის გადახედვა-გადასინჯვა, რომ ესხა მინც მოლაპარაკებას სასურველი შედეგი მოყოლოდა. მაგრამ არა, ვერც ეს მეორე კონფერენცია გამოვიდა პირველზე უფრო ბედნიერი.

თუ ეს ასე მოხდა, ამაში თვით ინდოელებსაც უდევთ ბრალი, რადგან თვით მათში—და განსაკუთრებით მუსლიმანებსა და დანარჩენებს შორის ვერ მოხდა შეთანხმება. ინდოელები ინგლის უსაყვედურებენ, რომ ის ამ კონფლიქტს ასაზრდოებს და მუსლიმანურ პოლიტიკას აწარმოებს და ამ გვართ ხელს უშლის ინდოელთა შორის შეთანხმებას. ეს საყვედური, რათქმა უნდა, საფუძველს მოკლებული არაა. ინგლისის მთავრობა საბაბს ეძებს, დაავიანოს მინც კოლონიის ემანსიპაცია. ეს სინამდვილეა, მაგრამ მინც უნდა ითქვას, რომ ინდოეთის ერთმა ნაწილმა ვერ გამოიჩინა საკმაოთ ეროვნული შეგნება. ხშირად რელიგია და განსაკუთრებით მაჰმადიანური რელიგია ელბებოდა საზოგადოთ ეროვნულ შეგნებას. და აი, მუსულმანები ინდოეთში რელიგიურ «ინტერესებს» ანაცვალებენ დიდ, საერთო, ეროვნულ ინტერესებს და ვერ არჩევენ ერთს მეორესაგან. შეიძლება ითქვას, რომ ინდოელები გაერთიანებული და მჭიდროთ შეკავშირებული გამოსულიყვენ, მათ შეეძლოთ მოეპოებიათ ბევრი რამ. მათდა საუბედუროთ და იმპერიალისტური ელემენტების სასიამოვნოთ ინდოეთში ჯერ კიდევ არ არსებობს ერთსულოვანობა, ერთობა, რაც ასე საჭიროა, და რომელიც მუდამ და ყოველგან წარმოადგენს ნამდვილ ძალას და თავდებია გამარჯვების. ამ ნაირათ ეს ვებერთელა ქვეყანა უძლეურებას იჩენს და ამას სარგებლობს მოწინააღმდეგე, რომელიც გაიძახის: «ინდოელების ერთმანეთ შორის მორიგება-შეთანხმება არის sine qua non, რომ მე დათმობაზე წავიდე».

ამ გვართ—და როგორც უკვე თავში ვსთქვით—კონფერენცია დაიხურა უშედეგოთ. თავმჯდომარე მაკდონალდი თავის უკანასკნელ სიტყვაში აცხადებს, რომ ინგლისს არ შეუცვლია პოლიტიკა ინდოეთის მიმართ, რომ ის კვლავ მზათ არის მიიღოს ინდოეთის კონსტიტუცია და პრინციპი საკანონმდებლო კრების წინაშე პასუხისმგებელ ინდოეთის მთავრობისა (თავდაცვისა და სავარყო საქმეების საკითხის გამოკლებით). ამის გამო პირველი მინისტრი წინადადებას იძლევა შეიქნას ქვეკომისია, რომელიც განავრძობს მუშაობას და რომელსაც დამოკიდებულება ექნება ინგლისის მთავრობასთან მეფის მოადგილის საშუალებით.

ნათელია, ინდოეთის საკითხი არსებობს ისე, როგორც წინეთ და მისი გადაწყვეტის ცდა პრაქტიკულათ დიდი ნაბიჯით წინ არ წაწეულა. ეს კარგათ იგრძნო ჰანდიმ, რომელმაც თავის პასუხში განაცხადა, რომ ამიერიდან ინდოეთისა და ინგლისის გზები გათიშულია, რომ ისინი მიდიან სხვადასხვა მიმართულებით: «არ ვიცი—დაუმატა მან—რომელ მიმარ-

თულებით წამიყვანს ჩემი გზა, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა». ნაციონალისტების ლიდერი როცა ამას ამბობდა, ალბათ თავის ძველ «არმორჩილების» ტაქტიკაზე ფიქრობდა. მაგრამ ინდოეთში ყველა მის ტოლსტოისებურ მეთოდებს არ იზიარებს და არ იქნება გასაკვირალი, თუ მშვიდობიანურ წინამდებეობის პოლიტიკა ძალის პოლიტიკით შეიცვალა. ბრძოლა დამფუძნებლობისათვის გაგრძელდება და ის აუცილებლათ დაბოლოს გამარჯვებით დაგვირგვინდება, რადგან ერთხელ გამოღვიძებულ ერის დაძინება სრულიად შეუძლებელია.

ანტონ ქ-ნი.

### ქართული სკოლისათვის

ქართველი ერის ტრადედია არა მხოლოდ მისი ფიზიკური ტანჯვებით განისაზღვრება, არამედ ამას სულიერი ვებაც ზედ ერთვის.

სწავლა-აღზრდა, ე. ი. ადამიანის გონებრივ ზნეობრივი-განვითარება—უპირველესათ ეროვნულ ნიადაგს ეყრდნობა, მისგან გამომდინარეობს. ბავშვი, მშობელ ვარემოს და წრეს დაკავშირებული, მშობლურ ენაზე ამეტყველებული, სამშობლოს ბუნებრივი სიყვარულით იმოსება, იზრდება და შემდეგ საკაცობრიო სოლიდარობას ეზიარება.

ამგვარ პრინციპზე აგებული ქართული ეროვნული სკოლა დღეს ჩვენთვის აღარ არსებობს, მონარდი თაობის ბედი, კომუნისტურ კლანუებს განიცდის—დღევანდელი მისი სკოლის სისტემა—გადაგვაოებას ემსახურება!...

ასეთია ქართველ მოზარდ თაობის ბედი იქ, დაპყრობილ საქართველოში, მაგრამ არა ნაკლებ საშიშ მდგომარეობაშია, ჩვენს გახანგრძლივებულ ემიგრაციაში, უცხო მხარეში და პირობებში მცხოვრები ჩვენი ახალგაზდობა, დღეს სამშობლო მხარეს მოშორებული!

II წელია მშობელ ქვეყანას მოწყვეტილნი ვართ! II წელია მშობლის თფილი გული და სახე არ გვიხილავს, არ ვანგვიცდია. ემიგრაციის ნორჩი თაობა ზოგი უხეშ ძალით სამშობლოდან გამოდევნილი, ზოგი ემიგრაციაში დაბადებული,—საკუთარი ქვეყანარომ არც უნახავს, უცხო ცის ქვეშ და ნიადაგზე—უცხო ჰავით, უცხო სულიერ საზრდოთი იკვებებიან, უცხო წრით და არეთი ვარემოცულები!

ეს მამავალი ქართველი თაობა, ნაწილი მამავალი ქართველი ერის, სავსებით მოკლებულია საკუთარ ეროვნულ აღზრდას და მკვიდრ ეროვნულ განვითარებას!

მათი რიცხვი ვეროპაში ცოტა არ არის—განეულია უცხოეთის სხვადასხვა ადგილებში—საფრანგეთსა, გერმანეთსა, პოლონეთსა და სხვაგან.

—განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქართველ ემიგრაციის ბავშვების ბედი, რომელნიც სრული გადაგვარების გზაზე იმყოფებიან, არა სჩანს არავითარი პატრონობა და მზრუნველობა—ამბობს ბ-ნი ს. ფირცალავა (ფ. ს. № 70).

და მართლაც—მშობელ ნიადაგს მოწყვეტილ ქართველ ბავშს, ან სრულიად არ ესმის სამშობ-



ლო ენა, ან თანდათან ივიწყებს მას—ამ უუდიდეს იარაღს ქართული ფიქრის და აზროვნებისთვის! ვერ ხედავს მშობელ ქვეყანას, არ იცნობს მას, მამასადა-მე, ვერ განიცდის მშობლურ გრძობებს, მშობლურ სიყვარულს, განმარტოებული, უმზეთო რჩება!—და რამდენათ უფრო ნორჩია ბავშვის სულიერი ძალები, იმდენათ უფრო ძლიერია და ცხოველი გარემოსაგან მიღებული შთაბეჭდილებანი და ცოდნანი, რომელთაც ბავში თავის განვითარების პირველ საფენურებზე განიცდის.

—«რაც ერთხელ ცხოვლათ  
სულს დააჩნდების,  
საშვილიშვილოთ  
გადაეცემის!»

ამბობს პოეტი და მართლაც, რა უნდა დააჩნდეს აქ, უცხოეთში, ცხოვლათ ჩვენი შვილების სულს?—გავლენა უცხო, უცხო სული, უცხო აზრი და ფიქრები.—არაფერი მკვიდრი—არც ენა და არც ფიქრები,—დავიწყება მკვიდრის, მიღება უცხოის...

ასეთია მწარე ხვედრი ჩვენი ნორჩი თაობის აქ. ვისაც ესმის და სწამს უდიდესი მნიშვნელობა ეროვნული აღზრდის, გული შესტიკვა ჩვენი ნორჩი თაობისათვის, უნდა დაუყონებლივ ხმა აღიმადლოს ამ დიდი საქმის მოგვარებისათვის უცხოეთში. ბ.ნ.ს. ფირცხალავა ძლიერი ხაზებით გადმოგვცემს ჩვენი ბავშვების გადაგვარების პირობებს აქ, მაგრამ არ მიგვიითებს შრაკტიკულ საშვალეებზე ამის წინააღმდეგ. უპირველესათ მშობლები უნდა შეკავშირდნენ ამ დიდ საქმეში და მოითხოვონ ქართული სკოლის დაარსება უცხოეთში. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, —ისე როგორც ეს იყო ჩვენში—დაარსდეს უნდა ემიგრაციაში. ჩვენი ქართული ახალშენები იკისრებენ ამ გვარ «საზოგადოების» როლს და გამონახვენ საარსებო წყაროს ქართული სკოლის მოსაწყობათ იქ, სადაც ეს უპირველესათ საჭირო იქნება!

საფრანგეთი, —პარიზი, —შეიძლება ითქვას, ჩვენი ემიგრაციის ცენტრია დღეს, სადაც ბევრი ქართველობა და ქართველი ბავში იყრის თავს. —ი აქ უნდა ჩაიყაროს პირველი საფუძველი ქართული სკოლის, ისე, როგორც საფუძველი ჩაეყარა ქართულ ეკკლესიას.

ქართული სკოლა, რა თქმა უნდა, თავს მოუყარის ქართველ ბავშვებს და ასწავლის მათ ქართულ წერა-კითხვას, ქართულ ისტორიას, ქართულ გეოგრაფიას, სამშობლო ლიტერატურას, ქართულ სიმღერას, გააცნობს ქართულ ცხოვრებას—მის სახეს და საქმეს, მის დღევანდელ ბედს და მომავალ დიად მიზანს—თავისუფლებას!

ქართველი ეროვნული მთავრობა, გვწამს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეპყრობა ამ საქმეს და თავის ზნეობრივ-მატერიალური დახმარებით ხელს შეუწყობს მის დამკვიდრებას.

დარწმუნებული ვართ, შრომა და საქმის სიყვარული ყოველ სიძნელს გადალახავენ და ქართველი ბავში უცხოეთში გადაგვარებას გადაგვირჩება!

ბ. გელა-გელაზანია.

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა,

რძეფლივ წარუვიგნეს განიარაღების ვენგრესს პარიზში (1931, XI) ქართველთა და უკრაინელთა დელეგატებმა.

ჩვენ სრულებით ვინაარებთ იმ დიდს იდეებს, რომელიც უდევს საფუძვლათ განიარაღების დღევანდელ კონგრესს, ხოლო ვერ ვხედავთ, თუ როგორ შეიძლება შესრულდეს მორალური და მატერიალური განიარაღება, თუ არ იქნა პატივცემული და უზრუნველვადილი სუვერენობა ყველა დიდი თუ მცირე ერისა. ჩვენი ქვეყნებისთვის—უკრაინისა და საქართველოსთვის—«განიარაღება» ნიშნავს საბჭოთა ჯარების ოკუპაციის მოსპობას.

ამასთანავე კონგრესის განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ არა კმარა, თვითუღმა სახელმწიფომ დაივალოს საკუთარი შეიარაღების შემცირება, მან აგრეთვე უნდა იკისროს ის ვალდებულება, რომ არ შეიარაღოს სხვა სახელმწიფოები, ნამეტურ ისინი, რომელნიც არ არიან ნაციათა ლიგის წევრები და რომელთა მოქმედების ნამდვილი კონტროლის გაწევა შეუძლებელია. ასეთ შემთხვევას გვაძლევს ს. ს. რ. კავშირი, რომელსაც ყველაზე უფრო მრავალ რიცხოვანი ჯარი ჰყავს და რომელმაც საომარ საშუალებათა ქარხნები მოაწყო სხვა სახელმწიფოების დახმარებით.

არ შევხვებით, თუ რაოდენ საფრთხეს წარმოადგენს მთელი ქვეყნისთვის საბჭოთა ესეთი შეიარაღება, აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ გარედან დახმარება უადვილებს საბჭოთა კავშირს თავის ოკუპაციის ქვეშ ამყოფოს უკრაინა, საქართველო, აზერბეიჯანი, ჩრდილო კავკასია და სხვა მის მიერ დაჩაგრული ერები.

შეიარაღების შეცირების აქტი იქნება ახალი მოვლენა სოფლიოსთვის, მოვლენა, რომელიც დაემყარება არა მხოლოდ სახელმწიფოთა ქალებრივ ინტერესს, არამედ ადამიანური მორალის პრინციპს. ხოლო როგორ უნდა შეეთანხმოს ამ იდეას განხორციელება იმ უკანონო ბატონობის, რომელიც მოახვიდა ს. ს. რ. კავშირმა თავის ჯარებით დაკავებულ ქვეყნებს?

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოსაზრებანი მხედველობაში იქნება მიღებული არა მარტო ამ კონგრესზე წარმოდგენილ ასოციაციების დელეგატების მიერ, არამედ მათ ყურადღებას მიაქცევენ ისინიც, ვინც შეიკრიბებიან რამდენიმე თვის შემდეგ უენევაში განათლებული ქვეყნიერების ბედის გადასაწყვეტად. ს. ს. რ. კავშირის მიერ დაპყრობილი ერები უდგენენ თავის საკითხს განიარაღების მომავალ კონგრესს.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ გ ე ბ ი

(ქურნალ-გაზეთებიდან)

ნომბრის 9 ტფ. პედ. ინსტიტუტის სტუდენტთა კლუბში მოხდა აკ. ნ. მარის საზეიმო შეხვედრა. ნ. მარმა ილაპარაკა საერთოდ იაფეტოლოგიის შესახებ, შეენო ვეფხის ტყაოსანს და აგრეთვე სვანურ, სომხურ და გერმანულის ურთიერთობას და მათ ენობრივ კავშირს. მერე მოხმენილ იქნა მისასალმებელი სიტყვები. მარის თეორიის წინააღმდეგ გამოვიდა პროფ. გ. ახვლედიანი, რომელსაც პასუხი გასცა პედ. ინსტიტ. დირექტორმა ვაშაყმაძემ. უკანასკნელმა სიტყვა: ჩვენი ინსტიტუტი დღეს ზეიმობს იმას, რომ დღეიდან ჩვენს ინსტიტუტში და მთელს საქართველოში საბოლოოდ დამკვიდრდა მარქსისტული ენათმეცნიერება იაფეტოლოგია. დღეს ჩვენ გამანადგურებელი ლახვარი ჩავეციტ ქართულ ფორმალისტურ და იდეალისტურ ენათმეცნიერებას.

— რუსის და უკრაინელი მეცნიერები თურქეთის სწავლულებთან ერთად შეუდგნენ სტამბოლის უდიდესი არქივის შესწავლას. ამ არქივში ინახება ჯერ სრულიად გამოუქვეყნებელი მასალები. უყვევლია, იქ მრავალი დოკუმენტი საქართველოს ისტორიის შესახებაც და კარგი იქნებოდა არქივის შესწავლაში ქართველ მეცნიერსაც მიეღო მონაწილეობა. მაგრამ ქართველი კომუნისტები ამისთვის იფიქრებენ?

— უკანასკნელ დროს საგრძნობლად გაუარესდა ტფილისში პურის ხარისხი, განსაკუთრებით საბავშო პურისა.

— საქართველოს მეურნეობის უმაღლეს საბუღალს თავმჯდომარეთ დაინიშნა ბუღალ მდივანი, მიწათმოქმედების კომისიის მოადგილედ შალვა ოკუჯავა, განათლების კომისიად—მარიამ ორახელაშვილი, კომისართა საბუღალს თავმჯდომარის მოადგილეთ მ. ტოროშელიძე, პროფესორ. საბუღალს თავმჯდომარეთ გ. სტურუა, ცენტრალური საკანტროლო კომისიის თავმჯდომარეთ ა. მზარეულაშვილი, საქ. კომუნ. პარტიის პირველ მდივანად ლ. ბერია, მეორე მდივანად პ. მელაძე და მესამე მდივანად გ. ყურულაშვილი, ამიერ-კავკასიის კომიტეტის მდივანად—მ. ორახელაშვილი, მეორე მდივანად ბერია, და მესამე მდივანათ პოლონსკი.

— საქართველოს კომ. პარტიის ცეკის ბიუროში შედიან: ბერია, მელაძე, ორახელაშვილი, ყურულაშვილი, მგალობლიშვილი, დ. ლორთქიფანიძე, მაჩაიძე, მახარაძე, სტურუა, არუთინოვი და თოდრიკა.

— «პრავდას» სიტყვით: ტფილისელმა მუშამ ბარკალაიამ აღმოაჩინა დასაცემენტებელი ნივთიერების დაუმატებლად ნახერხის, ბურბუშელას და ჩალის დაბრკეცების წესი, რომელსაც მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და იძლევა ახალს, იაფს და გამძლე სამშენებლო მასალას და რომელსაც ბარკალაიტი ეწოდა. მუხის ნახერხისაგან დამზადებული ბარკალაიტი უდრის ჩამოსხმულ ალიუმინის სიმაგრეს.

— გაზეთები «კომუნისტი» და «ზარია ვოსტოკა» 30 ოქტომბრიდან გამოდის ხუთ დღეში ოთხჯერ.

— საქ. სახკომსაბუღალს საუღელტეხილო რკინის ზნის პროექტებში აირჩია დარკონ-გორის პროექტი.

მ ვ. გ ე გ ე ჯ ო რ ი ს ო მ ხ ს ე ნ ე ბ ა

22 ნომბერს პარიზში ევ. გეგეჯორმა გააკეთა საყურადღებო მოხსენება «საქართველოს საერთაშორისო სტატუტზე» საერთაშორისო დიპლომატურ აკადემიაში, რომლის წევრი თვითონ არის. ხალხი ბლომით დაესწრო, მათ შორის ბევრი ცნობილი დიპლომატები. მოხსენება მოხმენეს დიდის ინტერესით და მისი ავტორიც ხანგრძლივი ტაშით დააჯილდოვეს. თავმჯდომარეობდა ბ. ნულანსი, საფრანგეთის ყოფილი ელჩი რუსეთში. მან მაღლობა გადაუხადა მომხსენებელს და მოკლე, მაგრამ მსურველ სიტყვით დაიცვა ქართველი ერის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ.

იმავე კრებაზედ ალ. შულგინმა გააკეთა მოხსენება «უკრაინის საერთაშორისო სტატუტზე». აგრეთვე პ. მილიუკოვს უნდა წაეკითხა მოხსენება საბჭოთა საგარეო პოლიტიკაზე აზიაში, მაგრამ ავთმყოფობის გამო ვერ შესძლო მოხსენება.

მ ო ჟ ო დ ე ბ ა

ქართველ უმუშევართა დამსმარე კომიტეტისა.

თ ა ნ ა მ ე მ ა მ უ ლ ე ნ ო ,

მთელ მსოფლიოში გამეფებულმა ეკონომიურმა კრიზისმა და მისმა აუცილებელმა შედეგმა—უმუშევრობამ—საფრანგეთშიაც იჩინა თავი.

ევ საშინელი რისხვა სხვებთან ერთად თავს დაატყდა ქართველ ემიგრანტებსაც, რომლებიც ლტოლვილობის პირობებში შეეგუენ მიუჩვეველ მძიმე ფიზიკურ მუშაობას და დღემდე თავს ინახავდენ პატიოსანი შრომით. უკვე მრავალი ქართველი ემიგრანტი უმუშევრათ არის დარჩენილი; უმუშევართა რიცხვი დღითი დღე იზრდება. მათი მდგომარეობა აუტანელია. გარდა იმისა, რომ ისინი მოკლებული არიან ყოველდღიურ საარსებო ლუკმას, ბევრი მათგანი უბინაოდაც დარჩა და იძულებული არიან ქუჩებში გაატარონ ზამთრის სუსხიანი ღამეები.

საკბირდა სწრაფი, დაუყონებლივი დასმარება, რომ სიმშობის და სიცივის საშინელ შედეგებიდან ვისნათ უმუშევრათ და უსახსროთ დარჩენილი ჩვენი ძმები.

ასეთი დახმარების აღმოჩენის მიზნით საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციასთან დაარსდა უმუშევართა დამსმარე კომიტეტი. უკანასკნელი მიმართავს ყველა ქართველ მამულიშვილს და დაბეჯითებით სთხოვს ყოველ თვიურათ გაიღოს თავისი წვლილი უმუშევართა დასახმარებლათ, სანამ კრიზისის განსაკუთრებული სიმწვავე განელდებოდეს.

კომიტეტს ღრმად სწამს, რომ მისი ხმა არ დარჩება ხმად მლადადებლისა უდაბნოსა შინა და ყოველი ქართველი, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუკარგავს სამუშაო და გააჩნია რაიმე სახსარი, დაუყონებლივ გადმოუგზავნის კომიტეტს თავის წვლილს.

სარევიზიო 1931 წლისთვის

I. მეთურები:

ხუთი წელიწადი 61. სადღესი ამოცანა 62. ინგლისის ახალი გენი 63. ერვინი გლოვა. პარტინანული ბრძოლა კავკასიაში 64. ჩენი დროშა 65. ეკონომიური ინტერვენცია და რუსეთი 66. გერმანია კატასტროფის წინ 67. ჯანყის სული 68. მოსკოვი და ევროპა 69. უდიდესი ხიფათი 70. ეროვნული ღირსება 71. გზა-ჯვარედინზე 72.

II. წერილები:

ასპეტელი ვლ. ჩენი უპირველესი ამოცანა 68. გომბოვი გ. 14 რუს მეწვე. პროცესი 63. ბოლშევიკების ახალი სეზონი 66.

გელა-გელანასია მ. ქართული სკოლისათვის 72. გრიგლაშვილი. სააღმ-მიცემო პერსპექტივები 70.

დ. შ. ერთი პატარა «უქანდახევა» ქართველი გლეხის წინაშე.

ეკვარდ. საბჭოთა დემპინგი 71.

ვარდანი. ნაფიქრი ხმამალა 61.

ვარდიძე მ. სტამბოლის მონასტერი 63-64.

ინგილო. საერთაშორისო პერსპექტივები 62. მათისათვის 65. მონტეკი და კაპულეტი 67. ვატიკანის ოფიც. და ჩენი საკითხი 70. 26 მაისი 65.

ი—ი. კაჟი. მოსკოვი წინეთ და ეხლა 61-67. ასატურის ანგარიში 63.

ლენინისა ს. საქართველოს აღდგომისათვის 64. პასუხად ძველ მეგობარს 69.

მესხი ვ. ვის ებრძვის და რას იცავს საქარ-ლო 69.

მესხავრი. წერილი საქართველოდან 71—72.

ძიმძი. ჩენი მაისი 65. ჩენი მთავრობა და ემიგრაცია 68.

ნუბუძიძე ი. დიდი ქართველის სხონას 64. ბოროტი უგზურება 65. რვეულიდან ნაწყვეტები 67 ქარიბლდასა და სცილას შუა 68. როგორ ცხოვრობენ საბჭოთა საქართველოში 69.

ქედანიანა ნ. ქართველ ერს 62. ჩენ სადარჯოსე 65.

ქ.—ნი ანტონ. ინდოეთი და ინგლისი 72.

ქუთული გ. საქართველო ციფრებით 61—67.

ფირცხალავა ს. ერთობისათვის 61. გ. ლასხიშვილი 64. ისტორიული ლანდები 65. ქართ. მშობლებს 70.

ურუგალი. ჩენებური რამე-რუმე 62.

\* ქვეყანა, რომელსაც სესერეკა ეწოდება 63 საქართვე. ისტორიის მიმოხილვა 68-72.

III. საქართველოს საკითხის გარშემო. საქ. ელჩის ნოტა 65. წამებული ხალხი 65. საქართ. საკითხი 70-71. ქართ. და უკრაინ. დელეგაციების მოხსენება განიარაღების კონგრესს 72. ევ. გეგეჭკორის მოხ-ბა 72.

IV. კორესპონდენციები. წერილი საქართველოდან 61-2. სასურსათო კრიზისი 62. პარტიზანები საქ. და აზერბ. 63. გამოსვლები კავკასიაში 64. საქართველოდან-გვატყობინებენ 69—70.

V. ქართველები უცხოეთში: ქართველები საფრანგეთში 61. საქ. დაპყრობის 10 წლის თავი ბერლინში 63. გ. ლასხიშვილის პანაშვიდი პარიზში 64. ქართული საღამო 65. 26 მაისი პარიზში, ოდენკურში, პრალაში და ვარშავაში 66. ქარ. წარმ. პარიზში 66. შევარდენი პარიზში 66. ქართ. ეკლესია პარიზში 67. ხარბინში 67. ქართველები საფრ. 69. ქართველები გერმანიაში. 69—70. ქართ. წარმ. პარიზში 70. წერილი პრალიდან 71.

VI. საქართველოს ამბები: 61, 63, 64, 67, 68, 70, 71.

VII. რუსეთის ამბები: 61, 62, 68.

VIII. უცხოეთი: 1930 წელი ოსმალეთში 61—13. მიმოხილვა 64, 66, 67. მოსკოვი და პარიზი 68. ოსმალეთ-რუსეთის მეგობრობა 68. მიმოხილვა 69—70.

IX. რას სწერენ ბოლშევიკებზე: 62, 65, 68, 71.

X. ნეკროლოგები: იმეფიათი გმირის დაღუპვის გამო 61. რაინდ უფროსის სხონას 61. გ. ნაცვლიშვილი 62. ხარბინიდან 62. დ. კლდიაშვილი 65. კ. ჩხეიძის სიკვდილის 5 წ. თავი 66. ნ. რამიშვილის დაღუპვის 6 თვის თავი 66. ქაქ. ჩოლოყაშვილის გარდაცვ. წლისთავი 66. პანაშვიდები 66. ნინო თაყაიშვილისა 67. პ. ნინიაშვილი 67. პ. სურგულაძე 69. ტ. პოლუგოკო 69.

XI. სხვადასხვა. მოხსენება ტურერკულ. საზოგადოებისა 62. მთავრობის თავმჯდომარის ავადმყოფობა 94. აზერბეიჯანის ცენტრის რეზოლუცია 64. წერ. რედ. მიმართ 64, 65, 67, 71. ბოლშევიკების საზიზლარი გამოლაშქრება. ნ. ქორდანას წერილი, საქ. პოლ. პარტიათა წარმომადგენლების კრება 65. მთიულთა შორის 65. ბიზანტ. ხელოვნების გამოფენა 66. კომუნისტური პრესა 67. ხ. ავალიშვილის «ვეფხის ტყაოსნის საკითხები» 68. ი. გოგვაშვილის დედა-ენა პარიზში 69. ნ. რამიშვილის მკვლელის პროცესი 71. მოწოდება ქართ. უმუშევართა დამხ. კომიტეტისა.



გაზეთის ფასი:

ერთი წლით 20 ფრანკი.  
ნახევარი წლით 10 ფრანკი.  
ერთი ნომერი 2 ფრანკი.



«დამ. საქ.» კანტორა

სთხოვს ხელის მომწერლებს გამოგზავნონ მათზე დარჩენილი სვედრი ფული.



დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r O U R A T A D Z E  
10, rue Jules Ferry, Leuville-s-Orge (S.-et-O.)  
France